



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერის ქუჩა, № 5. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „Квали“.

ზინაბასი: პატარა წერილი.—სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალი“-ს კორესპონდენციები.—წერილი გერმანიიდან ლ. აბ-ლისა.—ცოტა რამ ფოთის სამკითხველო-ბიბლიოთეკაზე ჭაღარასი.—წერილი ქართლიდან (დასასრული) ჭირისუფლისა.—„უგულობა“, მოთხრობა ელ. წერეთლისა.—წერილები რედაქციის მიმართ.—შეცდომის გასწორება და განცხადებები.

მიიღება ხელის მოწერა 1901 წლისათვის

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახატებიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა 1901 წელსაც ყოველ კვირა დღეს, **გაზარ-
თოვანული ფორმატით** ერთიდან სამ თაბახამდე.

რედაქციისგან: რადგანაც ახალ-წლიდან „კვალის“ გამოცემის საქმე ახალ პირობებში დგება, ამისათვის შესაძლებელი ხდება გაზეთის სიფრცით გაფართოვება, ახალი მუდმივი განყოფილებების შემოღება და მით შეიძლება ხელისათვის მეტი საკითხავი მასალის მიწოდება.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის ყველა შესანიშნავ მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით.

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მანეთათ, თფილისის გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისის გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათ შემოიტანონ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-ახნაურთა ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, არტილერის ქუჩა, № 5, კადეტთა კორპუსის ახლოს (დროებით, სანამ ახალ ბინაზე გადავიდოდეს).

ქუთაისში: მიტროფანე ლალიძესთან და ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; ქიათურაში კარბე მოღვაძესთან და ყვირილაში ივანე არდიშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

ბ ა ტ ა რ ა წ ე რ ი ლ ი .



ომეველ წელს სრულდება ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთი რუსეთს შეუერთდა. ეს შეერთება იყო წინამორბედი მთელი საქართველოსი და მითმთელი ამიერკავკასიის შეერთებისა. ასი წელიწადი პატარა ხანი არ არის ერის ცხოვრებაში. ყოველივე ის, რითაც ვეროპა დღეს თავს იწონებს, რითაც ის გამძლავრდა, გამდიდრდა და განახლდა, აღმოცენდა მხოლოდ ამ უკანასკნელ ას წელიწადს, ასე რომ ვეროპის ძლევა-მოსილობის ისტორია არის ისტორია მეცხრამეტე საუკუნის. რასაკვირველია, ჩვენც გვაქვს ამ საუკუნის ისტორია. ჩვენც ვცხოვრობდით, ვფიქრობდით და ვმოღვაწეობდით ისე, როგორც ყველა სხვა ერები. მაგრამ განსხვავება ჩვენ და მათ შორის ის არის, რომ იმათ იციან როგორ ცხოვრეს და დღეს როგორ ცხოვრობენ, შეგნებული აქვთ რას ელტვოდნ და დღეს რას ელტვიან, ერთი სიტყვით იმათ გამორკვეული აქვთ თავისი ისტორია და მით გაგებთ რას შერებიან და საით მიდიან. ჩვენ? ჩვენ დიდი ზეიმით ვაცხადებთ ჩვენ ხნოვანებას, ხოლო რა გავაკეთეთ ამ დროს განმავლობაში, რაზე ვშრომობდით, რა ვიყავით, რაზე ვფიქრობდით—ყველა ეს რაღაც მეტ საგნათ არის გადაქცეული, ამას არავინ იძიებს, ის არავის აინტერესებს. აი დღესაც, ჩვენში მზადდება ასი წლის იუბილე, ეს საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ეს ასი წელიწადი შევისწავლოთ და ხალხსაც შევასწავლოთ. ვეროპაში პატარა შემთხვევებიც კი აუარებელ გამოკვლევებს გამოიწვევენ. ერთი რომელიმე ქალაქის იუბილე მთელ ლიტერატურას შექმნის და ასე ყველა იგებს რა იუბილეია ეს, ღირს მისი დღესასწაულობა თუ არა. ჩვენ კი დავმჯდარვართ და მათუსადასავით დროს ვითვლით, ამით ვხარობთ და გვინდა ხალხიც გავხაროთ. ყოველივე სიხარულს და სიმწუხარეს თან უნდა ახლდეს შესაფერი საბუთები, ის რაიმე საფუძველზე უნდა იყოს დამყარებული და ეს ადამიანთა გონებაში ვადატანილი. უამისოთ სიხარული ფარისევლობაა და სიმწუხარე მეტიჩრობაა.

რა მოგვიტანა მეცხრამეტე საუკუნემ, რა შეგვიძინა და რა წაგვართვა? რა გზაზე დავგაყენა და საით წავგიყვანა? აი ეს და ათასი სხვა ასეთი კითხვებია დღეს თავისთავათ წამოყენებული და მათი გადაჭრა მითუცილებელია.

ერის ცხოვრება იყოფა რამდენიმე ნაწილად: პოლიტიკური, რელიგიური, ნაციონალური და სხ. და სხ. რომელი ამათგანი როგორ განვითარდა, რომელი გაიზარდა და რომელი შესუსტდა, რა როგორ ამოძრავდა და რა მიმართულება მიიღო—ყველა ეს თხოულობს გამოძიებას და გარკვევას. ეს კიდევ ცოტაა, გამორკვეულ უნდა იქმნას არა მარტო ერის საერთო ცხოვრება, არამედ ცხოვრება მისი თითოეული ნაწილის და თითოეული კუთხის, რა ცვლილება განიცადა ამ ას წელიწადს მაგ. ქართლმა, კახეთმა, გურიამ, იმერეთმა და სხ. ერთი სოფლის ისტორიაც კი ხშირათ ისეთ რასმეს გვაგებინებს, რასაც მთელი კუთხის ისტორია ვერ გვეუბნება.

ერთი სიტყვით, განზრახული ასი წლის იუბილეი ძალაუნებურათ იწვევს საზოგადოებას გაიგოს თავისი ამბავი, თავისი ცხოვრება ამ ხნის განმავლობაში: ამისათვის საჭიროა ახლავე შედგეს სხვა-დასხვა წრეები და თითოეული კითხვის გამოკვლევა გაინაწილონ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვეძლება წარსულის ნათლათ გაგება და აწმყოს შესაფერათ დაფასება...

სხვა-და-სხვა ამბები

გასულ კვირას დასაფლავეს ჩვენი სცენის მოღვაწე ბარბარე ავალიშვილისა. გასვენებას დიდ ძალი ხალხი დაესწრო, სხვათა შორის ჩვენ შევნიშნეთ თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ახლათ არჩეული წინამძღოლი თ. მელიქიშვილი. ცხედარს ამკობდა რამდენიმე გვირგვინი. საფლავზე სიტყვა წარმოთქვას ვლ. მესხიშვილმა და იმედაშვილმა. საფლავზე დაიწყეს ფულის მოგროვება განსვენებულის ძეგლის ასაგებათ, რასაც ტვირთულობს ქართ. დრამატ. საზოგადოება.

ათ დეკემბერს „კრუჟოკის“ დარბაზში მასწავლებელ ქალთა საზოგადოების მეთაურობით დილის 12 საათიდან გაიმართება საქველ-მოქმედო ბაზარი ბავშვთა გასართობებით, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება ავამყოფ და მოხუც მასწავლებელთა თავშესაფარის ასაგებათ.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ბ. ვედენევმა სამსახურს თავი დაანება. მის ალაგას ინჟინერ ივანიცკის ასახელებენ.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ 23 ნოემბერს შემდეგი პირნი აირჩია მარშლებათ: გუბერნიის მარშლის კანდიდატებათ თ. სიმონ წერეთელი (144 თეთრი და 12 შავი) და თ. ნ. თავდგირიძე (88 თეთრი და 58 შავი); ამ ორში მთავრობა ერთ-ერთს დაამტკიცებს თანამდებობაზე. გურიის თავად-აზნაურობის წინამძღოლათ თ. კ. ერისთავი, მის კანდიდატათ თ. ვახ. გურიელი; რაჭის მარშლათ დიშ. ყიფიანი, კანდიდატებათ თ. კ. წულუკიძე და თავ. მ. ჯაფარიძე.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ წელს ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის სარევიზიოთ გაგზავნა რევიზია, რომელიც შედგებოდა ი. ოცხელის, ალ. მიქაბერიძის და ივ. ზურაბიშვილისაგან. რევიზიის მოხსენება ვერ იყო სკოლის მოთავეთა სასარგებლო, რის გამოც ინსპექტორი გამოვიდა ამ თანამდებობიდან. ეს რამდენიმე თვეა ინსპექტორის ადგილი თავისუფალი იყო და გამგეობას მხოლოდ ამ კვირაში დაუნიშნავს ახალი ინსპექტორი. ეს არის ერთი რევიზორთაგანი—ბ. ი. ოცხელი!

იაკობ გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელო „Русское Слово“ თანდათან იკვალავს გზას რუსეთში. ამას წინეთ ყაზანის წიგნის მაღაზიებმა დაიბარეს ორასამდე ცალი გასაყიდათ, ახლა პეტერბურგის წიგნის მაღაზიასაც დაუბარებია.

თფილისის ქალაქის საბჭომ დაამტკიცა პროექტი, რომლის ძალით ქალაქის არჩევნები მომავალ წელს უნდა მოხდეს სამ ნაწილში და არა ერთ ალაგას, როგორც აქამდის იყო. პირველი ნაწილი შეიცავს 1, 2, 3 და 10 საპოლიციო ნაწილებს; მეორე—4, 5 და 6 ნაწილებს; მესამე კი—7, 8 და 9 ნაწილებს.

როგორც იციან მკითხველებმა, ქუთაისის წყლის მილის გაყვანის კონცესია მიიღო ინჟ. მიხაილოვმა. ხელ-შეკრულობის ძალით, მიხაილოვი ვალდებულია ყოველ დღე 350 ათასი ვედრა კარგი სასმელი წყალი მიაწოდოს მცხოვრებთ; წყალი უნდა გაყვანილ იქნას რიონის მარჯვენა მხარის ერთი ადგილიდან ქალაქის ზევით შვერსტის მოშორებით. რიონის წყლის გასაწმენდათ მან უნდა დადგას ფილტრები. კონცესიის ვადა 34 წელიწადია, რომლის შემდეგ ქალაქის სრულ საკუთრებაში გადადის მთელი მილი. გარდა ამისა ქალაქს ნება აქვს 20 წელს შემდეგაც გამოიყიდოს მილი. ვადის დასრულებამდე ინჟ. მიხაილოვი თავის ხარჯითა და საკუთარი პასუხის გებულებით მოგებს საქმეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმტკიცებია კონცესიონერის პროექტი მცირედენი შეცვლით.

ამ ყამათ აღძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებისთვის სავალდებულო იყოს ავათმყოფ მუშების რჩენა.

25 ნოემბერს კავკასიის რკინის გზის დარბაზში რკინის გზების ინსპექტორის გორჩაკოვის თავმჯდომარეობით მოხდა კრება, რომელსაც დაესწრო შავი-ქვის მწარმოებელთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ზდანოვიჩი, შავი-ქვის მსხვილ მწარმოებელთა წარმომადგენელი: ემერიკი, თ. პ. წულუკიძე, სოლომონ წერეთელი და წვრილ მწარმოებელთა წარმომადგენელი კარპე მოდებაძე. კრების საგანი იყო განხილვა პროექტისა შესახებ შავი ქვის გადატან-გადმოტანისა და ვაგონების განაწილებისა. კრებაზე დიდი უთანხმოება ჩამოვარდა მსხვილ და წვრილ მწარმოებელთა წარმომადგენელთ შორის. პირველთა პროექტი სრულიად ეწინააღმდეგებოდა წვრილების ინტერესებს. კარპე მოდებაძემ განუცხადა კრებას: ჩემ რწმუნებულთ წვრილ მწარმოებელთ წელიწადში ამოაქვთ 29 მილიონი ქვა მადნებიდან, ხოლო ამათ რწმუნებულთ, მსხვილებს, კი მხოლოდ 5 მილიონი. ამისათვის სიმართლე მოითხოვს მათი ინტერესები დაცულ იქნასო. ამ კითხვის უკეთ გამოსარკვევათ გორჩაკოვმა განსაკუთრებითი აუდიენცია დაუნიშნა მოდებაძეს.

ამ კვირაში ქართულ თეატრში წარმოდგენა აღარ გამართულა. ხუთშაბათს დანიშნულია ბენეფისი ჩვენი ნიჭიერი არტისტი ქალის ეფ. მესხისა.



„კეალის“ კორესპონდენციები

ქ. ბათუმი. როგორც ამას წინეთ ვწერდი, ბათუმის საბჭომ უურადღებს მიაქცია კვირა-უქმე დღეებში შესვენების საქმეს და ამის შესახებ მეტათ სიმპატიური დადგენილება მოახდინა. ამ დადგენილების შესაგვრელათ რე ვაჭარმა თხოვნა წარმოუდგინა საბჭოს, მან ეს თხოვნა ხმის უმეტესობით უარყოფილ იქნა. ხმა დადიდა, რომ ვაჭარებმა რაკი თავისი თხოვნით საწადელს ვერ მიაღწიეს, სხვა ხედას მიმართეს, სახელდობრ იმას, რომ ხმასნებში ავტოცაციას ახდენენ, რათა თავისი გაი-

ტანონი; მარა ყველა ხმები ხომ დასჯერებული არ არის. დიხ, არ არის დასჯერი, მაგრამ ამ ხმებს შედეგათ ის მოჰყვა, რომ 14 ხმებრის საბჭოს მორიგ სხდომაზე ხმონებს წაუკითხეს 21 ხმონისაგან ხელ-მოწერილი თხოვნა. ამ თხოვნაში ხმონები უქმე დღეებში მდაზიების დაკეტის შესახებ დადგენილების ხელ-ახლა განხილვას თხოულობდენ. წინა წერილში მე მკითხველებს გავაცანი 69 ვაჭრის თხოვნის შინაარსი. ეს ის იყო, რომ „ამდენი შესვენება ნაქრებს გარეზის, დიდ ზიანს მოუტანს მათ და ნუ გვიზამთ მაგას, ნუ დაგვიღუპავთ ჩვენ უნტროს ძმებს“. 21 ხმონის თხოვნაც დიდათ არ განსხვავდება 69 ვაჭრის თხოვნისაგან. ეს თხოვნა მხოლოდთ გავრძელება ვაჭრების თხოვნისა. აქაც უმეტესი ადგილი უნტროს ძმებს ლაზარაკს აქვს დათმობილი. განსხვავება მხოლოდთ იმაშია, რომ კანონის ზოგიერთი მუხლებია მოყვანილი, რომლითაც ზოგიერთ დღესასწაულებში ვაჭრობა სულ აკრძალულია. აქ კიდევ მოტივათ ერთი მარგალიტი აზრია ჩამატებული: ჩვენ, ბათუმელებს, სახლხო თეატრი არ გვაქვს, არ გვაქვს ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკა გვაქვს) და ნაქრებმა სად უნდა გაიროთნ თავიო. ამ თხოვნის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ, ქალაქის თავმა ბ-მა ასათიანმა, თხოვა ხმონებს ამის შესახებ თავ-თავისი აზრი გამოეთქვათ; ხმონებმა ხაბეს სული; ჩანს, რომ რაღაც მართლა დასარცხვინი ეოფილა, რომ ამდენი ბრძენნი კაცნი ისე დამარცხდენ. მკითხველი გაკვირვებით იკითხავს იმ 21 ხმონის შესახებ, რომლებს სახელი და გვარი თხოვნის ბოლოზეა გამოტომული, სად ბრძანდებოდენ? სად ბრძანდებოდენ და საბჭოში, მარა ავი მოგასხენეთ, რომ დარცხვენ ვაუკაცნი მეტეი. ბოლოს დგება ბ-ნი ჩხეიძე და კავიროებით კითხულობს, თუ რატომ ხმას არ იღებენ ზატვირტომული 21 ხმონის. ის ამბობს, რომ ნაქრებისთვის მეტათ და მეტათ საჭიროა შესვენება იმ მიმიე შრომისაგან, რასაც იგინი ეწვიან. თუ ჩვენ დადგენილების შეცვლა აუცილებლათ საჭიროა, შეიცვალოს ამგვართ: კვირა დღეებში და 12 საუფლო დღესასწაულებში მდაზიები სულ დაიკეტოს, მარა რაღაც ეს უკანხო ეოფილა და ამ დადგენილებას არ დაკვირტიცებენ, ამისათვის თითონ ვაჭრებმა თხოვნ ეს და უარს არავინ ეტყვის, რაც შეეხება სხვა უქმე დღეებში მდაზიების დაკეტას, ამ დღეებში კი მდაზიები კანონისამებრ იქნას გადებული, ე. ი. წირვის გამოსვლის შემდეგ — დაკანონებულ დრომდეო. ახლა კი დგება ბ-ნი საბაევი (ვაჭარი) და ამბობს, რომ ჩხეიძის აზრი ეაღბი, უსაფუძვლო და უმკანო აზრია; ნაქრები არავითარ დასადალავ შრომას არ ეწვიან, მათი შრომა მეტათ სასიამოვნოა, რას აკეთებენ ისინი? მოვლენ მუიდეულები, ნაქრები მიჰვიდიან და მეტი არაფერი. ჩვენ ვახვევთ მათ თავზე ამ დადგენილებას, თვარა იმათ სულ არ სურთ ეს. არც ერთ რუსეთის ქალაქში ეს დასვენება არ არის. მაგალითათ, რდესში, ვარშავაში, კიევიში,

მოსკოვში ნაქრები სადილის ჭამსაც ვერ ასწრებენ და ჩვენ რა შევიტენითო! — ბ. ვოლსკი: რაღაც გუბერნატორი არ ამტიცებს მთელი დღეებით მდაზიების დაკეტას, ამიტომ დადადგინოთ ისე, რომ კვირა დღეებში მდაზიები სულ ცოტა დროთი იქნას გადებული, დანარჩენ უქმეებში კი — კანონისამებრ. და მართლა რუსეთში, დღესასწაულების იმდენი გროვაა, რომ მთელი ევროპა გაშტირებულია ამით, და ყველა ამ დღეებში ვაჭრობის აკრძალვა სასურველი არ არის. — ბ-ნი ჩხეიძე: ბ-ნი საბაევის მიერ ჩემ შესახებ წარმოთქმულ უმართებულ სიტყვებს მე არ გამოვუდგები და იმ მარგალიტ სიტყვებს მათ წარმოთქმულსვე დავუბრუნებ, რაც შეეხება იმას, რომ ვითომ ნაქრების შრომა ისეთი შრომაა, რომელიც არავითარ დასვენებას არ თხოულობს — ეს ისეთი მტიციებაა, რომ ამის წინააღმდეგ ლაზარაკიც მეტია. ბ-ნი საბაევის სიტყვებიდან გამოდის, რომ ნაქრები მდაზიებში შრომას კი არ ეწვიან, თურმე დროს ატარებენ. ესეც ისეთი ტეშმარტიცებაა, რომელსაც სინამდვილის ერთი ნამტეციც არ ახლავს. — ბ-ნი ბოგოსლოფსკი საჭიროთ არ თვლის წინანდელი დადგენილების შეცვლას. ძალიან ცოტა ხანია მას მეტე, რაც ეს დადადგინოთ, თქვა მან. დავიცადოთ, თუ გამოცდილება დაგვანახებს, რომ ეს დადგენილება მართლა ზიანს მოუტანს ვაჭრობას და ამას ვაჭრები საბუთებით დაკვირტიცებენ, შეცვალათ მაშინ. ახლა კი მე ვერავითარ საფუძვლიან საბუთს ვერ ვხედავ დადგენილების შესაცვლელათო. ბ-ნი ჩხეიძე ამბობს, რომ დასასვენებლათ საჭიროა წმინდა ჭარში გავლა-გამოყვანო, საბაევი კი ამტიციებს, რომ ნაქრებს მდაზიისაგან შეუძლიათ სეირნობაო. კრება 10 წუთით შეწვიტა თავმჯდომარემ. კრება გაიხსნა და ბ-ნი ლ. ქიქოძე ამნარ წინადადებას იძლევა: კვირა დღეებში და 12 საუფლო დღესასწაულებში, იმ დღესასწაულების გამოკლებით, რომლებშიაც კანონით სულ დაკეტილი უნდა იყოს მდაზიები, წირვის შემდეგ მხოლოდ ერთი საათით გაიხსნას მდაზიები. დანარჩენ დღესასწაულებში კი ვაჭრობა აკრძალულ იქნას წირვის გამოსვლამდის, ისე როგორც ეს კანონშიაო. ბ-ნი ვოლსკი ამნარათ ასწორებს ამას: ადგომის, შობის და ახალწლის წინა დღეებში თუ დღესასწაულები მოხვდებიან, ამ დღეებში ვაჭრობა მთელი დღით უნდა წარმოებდესო. ამ წინადადებას იღებენ, მარა ზოგიერთი 1 საათს მდაზიების გახსნის მაგიერათ ხახვარ საათს თხოულობს. საბაევი ხახვარი საათის წინააღმდეგ ზრატესტს აცხადებს, ეს ცოტათაო, მაგიერათ წინადადებას იძლევა, რომ მდაზიები სულ დაიკეტოს ამ გვარ დღეებშიო. ეს უფლოცობა უთუოთ იმის ჭახრაკია, რომ საბაევს იმედი აქვს, თუ მისი წინადადება გავიდა, გუბერნატორი ამ გვარ დადგენილებას არ დაამტიციებს. არა მტირე დრო დაჭირდა 12 საუფლო დღესასწაულების გამორკვევას. ბ-მა ასათიანმა ჩამოთვალა ეს დღესასწაულები. ვოლსკი სიტყვას თხოულობს.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სახელმწიფო უწყისება


ისიც ხსნის ამ დღესასწაულებს. მერე საბასტრასში დამა
ახსნა, მარა უგელამ კი ისე არი-დარია, რომ გამორკვე-
ული არიერი გამოდიოდა. კრების მდივანი ბნი მესხი
თხოვლობდა, ამისხენით რა ეს დღესასწაულებიო. სა-
ბუნეირთ კრებაზე იყო სამდღელოების წარმომადგე-
ნელი მდ. ს. თოთიბასკე. გვიშეველ მამო, შეევედრა
ვილაც და მ. თოთიბასკემ არ დაიშურა ეს შველა. ბ-
ქიქოძის წინადადება ბ-ნ ვოლსკის შესწორებით მიღებულ
ქმნა.

№

ქ. სიღნაღი. ჩვენი სიღნაღის მასრა მეტათ ვრცე-
ლია. ამ მასრას ეკუთვნის ნახევარი კასეთი, ქიზიუი, და
კუხეთი, (გარეთი კასეთი). გარეთი კასეთი და ქიზიუი ვერ
დაიკვეხებს მევენახობას, მართალია ს.ს. ჯუჯანი, საქა-
ბო, ვაჭირი, და ანაკ მისდევს მევენახობას, მაგრამ ისე
არა, როგორც კასეთი. წელს კასეთში, ქიზიუში და გა-
რეთ კასეთში ვინც კი უური უგლო ვენახებს ძრიელ კარ-
გი მოსავალი მოუვიდათ და კარგი სარგებლობაც ნახეს.
შარშან სხანე ღვინო ფასობდა 30, 40, 50 და 60 მ.
წელს კი 100, 120, 150 და 180 მ. ამ შემოდგომაზე
ენკენისთვის 5-დან 10 მდე მე მძინდა დათვალიერება
შემდეგი სოფლებისა: 1) მიწხანის, 2) მარხანის, 3)
ჯუჯანის, 4) საქაბოსი, 5) მახანის, 6) ვაჭირის,
7) ანაკის, 8) კარდანახის, 9) ბაკურცხის, 10) ჩუმლა-
ვის, 11) ველისციხის, 12) კუჭატის, 13) ახალ-გავა-
ზის, 14) ჭიკანის და 15) ძველ-გავაზისა. ამ სოფლე-
ბის დათვალიერების დროს, თუნდაც დავირგვებთ მოვეტუე-
ბინე, მაინც თვითონ ხალხის მიხვრა-მოხვრა და შეხედუ-
ლობა შემატყობინებდა იმ ჭეშმარიტებას, რომ ერთი
ზირი და მრავალი ხელი ჯობია ერთ ზიანს და ორ
ხელს. მრავალ ალაგას შევნიშნე, რომ ვისაც თავის საქმისა-
თვის ბეჯითათ მოუკიდია ხელი დიდი მოსავალიც მო-
სვლია. იქ სადაც თავ-თავის ქეიფზე უგლიათ. ვერ
გასწვდომიან და რაცა ჭეშინათ ისიც დაკარგვიათ და
არც ღვინო მოსვლიათ მოუვლელით. არა თუ წელს,
მომავალ წელსაც იმედი არ არის რომ რამე მოუვიდეთ,
რადგან რქა ვაზისა მეტათ გაწრიკებულია. ქიზიუის სო-
ფლებში ათ ვენახში ერთი იყო კარგი, ისიც იმისი ვისაც
მარტო-მარტო ვენახისთვის ეზრუნ-ებარობნა. აქ ქი-
ზიუში მისდევენ ხვნა-თესვას, საქაბოსის მოშენებას,
თამბაქოს და ვაჭრობას, ამდენ საქმეებს კი მარტო-ხელი
კაცი ვერ გაწვდება. ანაკში შევნიერი ვენახები იყო,
დიდ ძალი ღვინო მოვიდა და კარგი ხეირიც ნახეს. კარ-
დანახში ორი წილი კარგები იყო, დანარჩენი მთლათ
გაფუჭებული. ბაკურცხეში ესევე, ჩუმლაუში ი. ა. გო-
ზალავის ზვარი შევნიერი მოვლილი იყო, მაგრამ უკე-
თესი იყო სარაჯოვის ზვარი. მაშინ როდესაც უგელა ხეს
გაუვითლებული ფოთოლი ჭჭინდა, მის გარშემო მამე-
ტებული ნაწილი გადახრუკული იყო, სარაჯოვის ვენახს
მისის ფერი ედვა, მწვანეთ ბიბინებდა და შესანიშნავათ

ესხა; ვაზს სარი ვერ იმაგრებდა. აქ რა მიზეზი იყო
მოვლა და ზატრონობა. სარაჯოვილი შიგ ზვარში
ცხოვრობს ცოლ-შვილით. თითონაც კანათლებული და
დახელოვნებული კაცია, და თავის ცოდნით დიდათ სარ-
გებლობს. ჩვენ კი ზირდია ვსხედვართ არაფერს და-
ვგვეთ და არც არავის ვეკარებთ. ველისციხეშიც სამი
წილი ვენახებისა ძრიელ კარგი იყო ველისციხელებს
კარგა ხანია მიატოვეს ხვნა-თესვა, შეუდგნენ მარტო
ვენახების მოვლა-მოშენებას და დიდ ძალი უზარ-მასარი
ზვრებიც გააშენეს. ვინც მარტო ამ ვენახებს ჭეშატრონობ-
და იმან კარგი მოგებაცა ნახა წელს, და ვისაც ერთი
ხელი ვენახში ჭჭინდა და მეორე მინდობში, იმან ვენა-
ხშიც ზურგი შეაქცია და მინდობშიც ვერ დააჯილდოვა
მისი შრომა. ველისციხეში იმდენი უზარ-მასარი ზვრე-
ბია გადაჭიმული და არც ერთს კი დობე არა აქვს შე-
მოვლებული, არა თუ მომიჯნებთ შორის, არამედ შარ-
კის ზირზე და სხხნავ-სათეს მიწებისაკენაც კი. ს. ვე-
ლისციხიდან თავდადმა მ. ალაზნისაკენ მიდის სიკანით
სამ საყენიანი გზა, და ამ გზის ორივე მხარეს გადა-
ჭიმულია ზვრები სულ კი უდობო, რომლებიდანაც გამო-
სჭვავის ქარვის მინაგვარი რქა-წითელი და ამლე-ჩამო-
მვლელს იწვევს საჭმელათ, მაგრამ მზავურს თითქო არც
კი დაუნახავსო, ისე მიდიდინებს.

ამ სოფელს იმისთანა ენერგიული მამსახლისი ჭეოლია,
რომ თუ რამე დაიკარგა მაშინვე უფოვალ დონეს ხმარობს
მოსაძინათ. ს. ჭიკანში, კუჭატანში და ახალ გავაზში
უხვათ ხარობს წინი, ფურცელი, კაკალი, და ხურმა,
ხალხს კი უვითელი ღამის ფერი ადევთ. აქ ვენახები კი არა
საჭმელი უერძენიც ვერა ვნახეთ. სოფ. ძველ გავაზში
ნახევარი ვენახებისა კარგი იყო. ე. ი. იმათი, ვისაც მოველო
და ეწამლა. ვისაც არა და ხელიდან წასვლიდათ. ამ სოფ. ეტ-
ეობა წინ სვლა. სოფ. გაშენებულია კავკასიონის მთის
ძირში ერთ ვაკე ადგილს იქ, სადაც ახლა დანისციხის
ახალი გზა გაჭედათ. აქეთ იქით ჩამოუდის დიდი
ხეები, რომლის წყლით მთელი სოფელი მოფენილია.
შენობები, და ვენახ-ქუჩები თითქო ახალ გემსზეა აშე-
ნებული, შევნიერი სხანხავია. ხალხი საქაროვლოს უგელა
კუთხიდან არის შეკრებილი ე. ი. იმერელი, კახელი,
ქიზიუელი, კუხელი, ქართლელი, თუში, ფშავი, ხევსური,
ინგილო, ლეკი, და რუსი. უგელას ცოტ-ცოტაობით ამ
სოფელში მოუერთა თავი (600 კომლამდე) და ეტ-
ეობა კარგი განწყობილობა აქეთ ერთმანეთში. აქ
არის ერთი სამინისტრო სკოლა, ერთიც სამრეკლო.
ორი ეკლესია თავის კრებულით. ამ განაზირა სოფელ
შიაც ჩაუერთა ჩარჩს თავისი ბასრი ბრჭყალები
და კარგათაც უსარგებლია. ვერ ნახავთ ერთ კომლს რომ
რომელიმე ჩარჩის ან ვაჭრის ფული არ ემართოს. ჩვენი
ხალხი ნივთიერთათ ხომ ღარბობა და ძალ-ღონითაც და-
რბობდა, ამ სიღნაღისთან სწავლა-ცოდნაზედაც ღარბინი
ვართ, რის წყალობითაც უკანა ვართ ჩამორჩენილი. ამას



გარდა მეტათ იშვიათია აქ რივი ძმის ერთათ ცხვრება; ამის თავიდან ასცილებლათ ზირველი ადგილი დედელს უნდა ექიროს, დედელმა უნდა ჩააგნოს ხაღს, რა სს-შინელი სიღარიბე და უბედურება მოსდევს ხაღის დანაწილება-დაქსაქსას, მაგრამ ის საუბედურათ არა თუ არი-გებს არაჟედ აქეზებს კადეც, რადგან ეს მისთვის სსსარ-გებლათ, მეტ დრამას აიღებს. მეორე ალაგი უნდა ექიროს მამასხაღის, მარა არც ეს ბატონი იწუხებს თავს. ვინაიდან გაურის დრას ერთ ბეჭს და ქათმის სწინკარს მაინც გამოხრავს, და არა რა გიჟი იქნება რამ ხაღს დანაწილება დაუშაღს. მეტი ღონე არ არის ისევე ჩვენ მრავალ ტანჯულ სოფლის მასწავლებლებს უნდა მოგახვიოთ ეს საქმე თავზე. ძლიერ ბევრი საქმე აწევს ჩვენ სოფ. მასწავლებლებს, ბევრი კარგი საქმეებიც გაგვიკეთეს, და ეს საქმეც რომ მათ იკისრონ ძლიერ დააჯალებენ სო-ფელს. ამ სოფლის ერთი სიკეთე ეს არი: დიდათ ბატონ ცემულმა გუბერნატორათ ნამუფთმა ბატ. გ. შერვაშიძემ თავის გუბერნატორობის დრას შეგვიდგინა სამეურნეო თანხა ზურის მღაზიებიდან, რომელც ახლა 500,000 მანეთს ადგამატება. ამ თანხიდან კარგი იქნება გამოუწე-რონ უველა სოფელს, თითოს 10 ცალი ვაზის სსსხუ-რებელი მანქანა, გოგირდი, შაბიამანი, და სხვა იმ ზი-რობით, რომ საერთოთ თავ თავის დრახე—უწამლან გენახებს, და რაც დანახრჯება შემოდგომასე ღვინის გა-ვიდვის შემდეგ ისევე დაბრუნონ მცირე სარკებლით ხა-ზინაში; ხოლო ამში მთავრობა უნდა ჩაერიოს, რომ გაიძვერა კაცებმა ბენავი ხაღის უცლდინარობით არ ისარგებლან.

ქიზიუის მინდვრებში აუარებელი თავვი გაჩე-ნილა, ისეა გადათხრილი მიწები თავგისგან რომ კაცს ნახნავი ეგონება. ძლიერ სხვილი თავგებია და მას-თან უკუდრები. ხაღნი კულებელ დაკრეფილი შეჭურებს ამას და ვერაფერი ვერ დაუთესია; ვინც რამე დათესა სულ თავგებმა გაზიდეს. მართალია კალის დიდი ზარა-ლი მოჭქონდა, მარა ახლა ამ თავგებმა უარესი ქქეს.


რაზმაძე.

წერილი გერმანიიდან
(ჩინეთის კითხვა რეისტაგში)

წინეთში მომხდარმა არეულობამ მთელ ევრო-პას თავსახეთქი საქმე გამოუგდო. მას შემდეგ რაც იქ დიდი მუშტის მოძრაობამ უცხოელთ წინააღმ-დეგ თავი იჩინა, მოსვენება აღარ აქვთ ევროპის დიპლომატებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს და მთელ ჟურნალ-გაზეთობას. ყველა ამათვანი თავის აზრს ამბობს ამ არეულობის შესახებ, იკვლევენ ამბოხე-ბის მიზეზებს და სდებენ თავის შეხედულებისამებრ ასეთ თუ ისეთ მსჯავრს. მოუსვენრობა და დაუ-წყნარებლობა ევროპიელებისა ენით გამოუთქ-

მელია. ერთი სიტყვით ჩინეთის საქმემ მთელ ევ-როპა ვაგლახის მახეში გააბა. თუ რომელსამე ევ-როპის სახელმწიფოს ბოროტი ეწია, ეს ისევე —გერმანიას, რადგანაც უკანასკნელს მეტი ზარა-ლი მიაცენა ამ ამბოხებამ და უეჭველია შემდეგ-შიაც კიდევ ბევრი რამ საფრთხე დაემართება, თუ რომ ევროპიელებისადმი სიძულვილი ჩინელთა ხალხის გულში სამუდამოთ არ ჩაქა. მაშ ვის უნ-და სწეოდა უბედურობა თუ არა გერმანელთ, რადგანაც გერმანელთა რიცხვი ჩინეთში 1134-ს აღემატება. თუმცა არა ნაკლები ზარალი მიადგათ ინგლისელებს, მარა უფრო მეტი სავაგლახო საქმე ბურებთან აქვთ, ასე რომ ჩინეთის საქმე ისე არ ახვევს თავ-ბრუს ინგლისელთ, როგორც გერმა-ნელთ.

ამისათვის გერმანიის იმპერატორმა მთელი თავისი აწმყო პოლიტიკა ამ კითხვისკენ მიმართა. ამასთან როგორც ვიცით, გერმანიის მთავრობას არც ერთი სახელმწიფო რეფორმის კანონის გან-ხორციელება არ შეუძლიან უკეთუ არ დაითანხმა რეისტაგი. გერმანიის მთავრობამ კანონისამებრ ჩინეთის საქმის შესახებ თავის მოსაზრება რეის-ტაგს წარუდგინა. აი, რა წინადადებით შევიდა სა-ხელმწიფო კანცლერი, ბულოგი, რეისტაგში და რა აზრი წარუდგინა: „ჩვენ, გერმანიის მთავრობა, მოვალენი ვართ ზნეობრივათ და იურიდიულათ რომ ჩვენი ქვეშევრდომნი მუდამ დავისნათ გაჭი-რვებისაგან და შესაფერი მფარველობა გავუწიოთ მათ. ჩინეთის ამბოხებამ ჩვენ რამდენიმე ქვეშევრ-დომი გამოგვაცალა ხელიდან და სამუდამოთ მოუს-პო მათ სიცოცხლე. რომ ბოლო მოვუღოთ ამ არ-უ-ლობას და მომავალში ავიცდინოთ განსაცდელი, საქირთა ვიყოლიოთ ჩინეთში საკმარისი წესიერე-ბის დამცველი ჯარები, რომლის საშუალებითაც შეგვიძლება ავლაგმოთ ჩინელების ასეთი თავ-გა-სულობა და დიდი მუშტის მოძრაობა ევროპიელთ წინააღმდეგ. ჩვენ არ გვაქვს მიზნათ ჩინეთის სა-ხელმწიფოს დამონება და მისი ძალ-მომრეობით მართვა-გამგეობა. არა, ჩვენ გვინდა რომ ჩვენი „კიაუჩაო“, ეს ჩვენი ნავთ-სადგური, ეს ჩვენი საუნჯე საიდანაც ვრცელდება აღმოსავლეთ აზია-ში ჩვენი ვაჭრობა, უზრუნველყოთ მტრის მხრივ და მით ავაცდინოთ განსაცდელი ჩვენ ვაჭრობას. ეს არის ჩვენი მიზანი და მისწრაფება. ამ ინტერე-სების დაცვა მთელი ჩვენი ერის ინტერესების დაცვას ნიშნავს. ჩვენ, როგორც დიდმა ხალხმა, ჩვენი ინტერესები და უფლება ყველგან უნდა და-ვიცვათ. ამისათვის საქირთა ვიყოლიოთ ჩინეთში საკმარისი მშვიდობიანობის დამცველი ჯარები. ეს არის საღსარა, სხვა გზით არ შეგვიძლია ჩავა-



ჩუმოთ ჩინელები“. რეისტაგის პარტიებმა, როგორც ცენტრმა, ნაციონალ-ლიბერალებმა, კონსერვატორებმა და თავისუფალ მოაზრებებმა საერთოთ ხმა მისცეს ბულოვის ასეთ წინადადებას. მას წინ აღუდგა მხოლოდ სოციალ-დემოკრატი პარტია, რომლის სახელით ბებელმა შემდეგი პასუხი მისცა გერმანიას და მასთან ერთად მთელ ევროპას:

„დღევანდელ სახელმწიფო კანცლერ ბულოვის სიტყვიდან ჩვენ ახალი არა გავგიგონიარა. ეს ყველა რაც აქ ითქვა დაწვრილებით, ოფიციალურად თუ არა ოფიციალურად, ხშირად გამოცხადებულა. მე ახლა ვეცდები გამოვარკვიო, რამდენად საფუძვლიანია აწმყო ჩვენი პოლიტიკა ჩინეთის შესახებ და რამდენად ჰუმანიურია იგი პირველად ერთ ორიოდ სიტყვას ვიტყვი გერმანიის რეისტაგის დღევანდელ მდგომარეობაზე. დღესავით ნათელია რომ გერმანიის რეისტაგის მნიშვნელობა და უფლება მარტო ქალაქს სწვრივ, ფაქტიურად კი ყველა უფლებას მოკლებულია. ჩვენი მოსაზრება და წინადადება სახელმწიფო საქმის შესახებ მარტო მოსაზრებათ და ცარიელ სიტყვად რჩება. ყველა საჭირ-ბოროტო კითხვას გერმანიის მთავრობა წყვეტს როგორც მას ემარჯვება. მთავრობის განკარგულება მუდამ ეთანხმება ხოლმე რეისტაგის სხვა-და-სხვა პარტიის აზრს, გარდა ჩვენი პარტიისა, და თუ რომელსამე შემთხვევაში მთავრობის მოსაზრება ეწინააღმდეგება ამათ ინტერესებს, მაშინ ესენი სულ პატარა შენიშვნით ათავებენ თავიანთ წინააღმდეგობას. მხოლოდ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, გულადათ ვაძლევთ პასუხს, მარტო ჩვენ ვიბრძვით ხალხის უმრავლესობის კეთილდღეობისათვის და სხვა... უმრავლესობის ინტერესების შემლახველად ვებრძვით და უნდა ვებრძოდეთ კიდევ.“

„აი, დღეს მთელი ჩვენი მთავრობის ძალა და პოლიტიკა ჩინეთისაკენ არის მიმართული. ჩინეთში ახალ რაზმების გაზზვანას აპირობს, უნდა რომ მეომრების საშუალებით ჩააქროს ჩინელთა ხალხის გულში ევროპიელთა სიძულვილი, რომელიც გამოწვეულია მთავრობის მიერ წაქეზებულ ბრბოსაგან. ასეთი წარმოდგენა ჩინეთის საქმეზე მალაღობით სიმატლეს არის მოკლებული. დიდი მუშტის მოძრაობა ევროპიელთ წინააღმდეგ მთელი წლოების საქმეა. წერილობითი არგუმენტებით შევამოწმებ, რა ძალ-მომრეობას ხმარობდენ ევროპიელნი ჩინეთში და როგორ შეუბრალებლათ ეპყრობოდენ მათ. მაგ. ერთი ინგლისელი მოგზაური ამბობს: „მე ჩემი თვალებით დამინახავს რა შეუბრალებლათ ექცეოდენ ევროპიელნი ჩინელებს. იქამდის თავ-ხედობდენ ევროპიელნი, რომ ჩინეთის მთავ-

რობამ ასეთ საქციელს ყურადღება მიამჩნია“. მეორე: ერთი მისიონერთაგანი ერთ თავის საყურადღებო წიგნში 1891 წელს ჩინეთში მომხდარ არეულობის შესახებ ევროპიელთ წინააღმდეგ სწერს შემდეგს: „ეს არეულობა ე. ი. ჩინელთა მოძრაობა ევროპიელთ წინააღმდეგ, როცა იქნება გამწვავდება და მაშინ უკანასკნელთ ძალიან ძვირად დაუჯდებათ“.

„მეორე მოგზაური ამბობს:.. მე მინახავს ჩინეთში, განსაკუთრებით ნავთ-სადგურების ახლო მოედნებზე, როგორ ბოროტ-მოქმედობდენ ევროპიელნი. თუ რომელიმე მუშა ევროპიელს პატარა მანძილის სიახლოვეზე დაუახლოვდებოდა, საბრალოს მათრახით გაშოლტავდენ და შეუბრალებლათ მიუღწევდენ ფეხით საპაღნით დატვირთულ ხელით საგორებელ ჯიხს“. ჩინელი ხალხი სამართალს სასამართლოშიაც ვერ პოულობდა, რადგანაც უკანასკნელნი მოყიდული ჰყავდათ ევროპიელთ. ერთი სიტყვით, ევროპიელებმა თვით ჩინეთშიაც იგრძნეს თავისი ფულის ძალა. შეუძლებელია რომ ჩინელების პირობებში სხვა რომელსამე ხალხს აეტანა ამდენი ძალ მომრეობა და თავ-გასულობა. რასაკვირველია ევროპიელების ასეთი საქციელი უმნიშვნელოთ არ რჩებოდა ჩინელთა ხალხის გულში, სიძულვილი თანდათან იზრდებოდა ხალხში და მეტად ვრცელდებოდა. ასეთ თავ-გასულობაში გერმანელთაც საპატიო ალაგი ექირათ. ამას შემდეგ აღარ არის საკვირველი რომ ჩინელებმა ევროპიელთ მუშტით ვადუხადეს სამაგიერო.

არა ნაკლებ სიძულვილს აღვიძებდა მისიონერების ქადაგება, რომლებიც ხმლითა და ცეცხლით ავრცელებდენ ქრისტეს სწავლას მას შემდეგ რაც კი კათოლიკების მისიონერებმა საფრანგეთის მთავრობის მფარველობა მიიღო, ამით თავ-გასულობას საზღვარი აღარა ჰქონდა. მოხელეთა ფორმის ტანისამოსს ატარებდენ, რათა მეტი შიში და გავლენა ჰქონოდათ ხალხზე. საყურადღებო იყო ეპისკოპოზ ანცერის საქციელი ჩინეთში, რომელიც თავის დროს დიდ როლს თამაშობდა. ერთხელ, როცა ერთ ჩინეთის წმინდა ქალაქის ტაძარში რელიგიური კრება ჰქონდა ადგილობრივ სამღვდლოებს, საცა რამდენიმე ათას მორწმუნე ჩინელს მოეყარა თავი, ამ დროს შევიდა ანცერი თვით ტაძარში და პრაზგანდა დაიწყო ხალხში. იქამდის მოურიდებლათ გაისარჯა, რომ მოთმინებიდან გამოსული ბრბო მოსაკვლელათ მიესია მას, და მხოლოდ გაქცევით უშველა თავს. ევროპის მისიონერებს უნდოდათ ათას წლობით შესისხლ-ხორცებულნი სარწმუნოება გამოეცვალოთ ჩინელებისათვის და მათთვის ახალი

საქართველო

სარწმუნოება მიეწოდებინათ. რასაკვირველია ჩინელებმა ასე ადვილათ არ დაუთმეს ათას წლობით შეთვისებული სარწმუნოება და ქრისტიანებს შესაფერი სამაგიერო გადაუხადეს. ყველა კეთილ სინიღისიერი კაცი საფუძვლიანათ ჩათვლის ჩინელების დღევანდელ საქციელს ევროპელებისადმი. აბა, ერთი ჩვენ შემოგვესიოს ვინმე და ძალით მოგვაჩეჩოს თავისი სარწმუნოება, ვნახოთ რა პასუხით გავისტუმრებდით უკან.

„გერმანიის მთავრობამ ჩინეთს „კიაუჩაო“ წაართვა, მას აედევნა ევროპის ყველა დიდი სახელმწიფოები, რომელთაც საუკეთესო ნავთ-სადგურები გამოაცალეს ხელიდან და სულ შეუხუთეს ძალა. განა ერთი ფეხის დადგმის ტოლა ალაგს კი გაიმეტებს რომელიმე თქვენგანი რომ ქვეყნის არეულობა და ამბავი არ ასტეხოთ? თქვენ იმას არ კაყუფილდებით რომ 5,2% ჩინეთში ევროპიელთ ვაჭრობისა გერმანიელთ ხელშია და ლამის მთელი სიმდიდრე ხელიდან გამოაცალოთ; გინდათ რომ არენდით აიღოთ ჩინეთი, გამართოთ ფაბრიკა ქარხნები და ამოიღოთ აუარებელი სიმდიდრე თქვენ სადღეგრძელოთ. გერმანიის მუშათა კლასმა იგრძნო თქვენი კაპიტალის ექსპლოატაცია, მარჯვით გებრძვიან, გთხოვენ სამუშაო ფასის მომატებას და დღის შემცირებას, ახლა თქვენ, შორს აღმოსავლეთისაკენ მიემუშრებით, საცა უფრო შეუგნებელია მუშათა ძალა, გინდათ თქვენებურათ ამოსწოვოთ სისხლი. აი, ამით აიხსნება რომ ბურჟუაზიული პარტიები მრისხანე ხმით გაიძახიან ჩინეთში ახალ რაზმების გაგზავნას.

„თუ ბურჟუა თავის ინტერესებს იცავს, აღარც სამღვდლოებას დაჰვიწყებია თავისი. ამათ უნდათ ჯვაროსანთა ომი გამართონ და ერთი კიდევ დაჯახონ დასავლეთი აღმოსავლეთს. მარა ჩვენ ვიტყვით, ეს არ არის ომი ჯვაროსანთა, ეს არის ომი ჩვეულებრივი, არის ომი გალაშქრებისა, ომი ჭინის ამოყრისა და ბარბაროსობისა. ასეთი ძალ-მომრეობა თვით გუნებსა და ვანდალებსაც არ ჩაუდენიათ. ერთი სიტყვით ეს გუნების პოლიტიკაა და სხვა არაფერი. ეს სამასი წელიწადია რაც ჩინეთში იგზუიტნი ქრისტიანობას ქადაგობენ, უფრო მეტი ხერხის და უნარის პატრონები არიან, მარა ბოლოს რა და დარჩათ ხელში? არაფერი, გარდა იმისა რომ სიძულვილი ვაღვიძეს ჩინელებში ქრისტიანთა წინააღმდეგ. აი, დღესაც რა შედეგი მოჰყვა თქვენ პოლიტიკას ჩინეთში? თქვენი მეომრები ისე წყვეტენ ჩინელებს როგორც მხეცებს. ასეთი საქციელი მარტო ბარბაროსებს ეკადრებათ და არა ქრისტიანებს.

„ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, არ გვსურს უსინდისოვნად დამორჩილება და გაგერმანელება. ჩვენ ვამბობთ რომ ჩინეთის სახელმწიფომ, როგორც ერმა, უნდა განაგრძოს თავისი არსებობა. ყველა ერს აქვს უფლება ცხოვრებაზე და უნდა იცხოვროს როგორც ერმა. აი, ეს არის ჩვენი პოლიტიკა“.

ეს იყო ბებელის პასუხი ჩინეთის პოლიტიკის შესახებ.

ქ. ლეიპციგი.

ლ. ახ—შელი.

ყოცა რამ ფოთის სამკითხველო-ბიბლიოთეკაზე.

ჩვენ დროში შეგნებული საზოგადოება ცდილობს, რომ დაბალი ხალხი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვას შეაჩვიოს, წახალისოს და მით განვითარების გზაზე დააყენოს. ამ მიზნით ქალაქებში, დაბებში და სოფლებში სხინან სახალხო უფასო სამკითხველო-ბიბლიოთეკებს, მართვენ სახალხო კითხვებს და სხვა. ამ მხრით განსაკუთრებით თავი ისახვდა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დასავლეთ საქართველოში. ამ მიზნის განხორციელების საჭიროება და სარგებლობა იმდენათ მარტივი და ცხადი საქმეა, რომ მე ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ მას უარის შეფიქვლი და წინააღმდეგი აღმოუჩნდებოდა ვინმე ჩვენში. ჩანს, ვცდებოდი...

ჩემი შეცდომა ფოთში დაფიანსე!.. იმ ფოთში, რომელიც, ზოგჯერ სიტყვებით:

„დაბერდა, როგორც პაპია.
ოჰ, ოჰ, რა დიდი სვაფია,—
უზომოთ ფულის ყლაპია!“

და აი, ამ უღაზია ქალაქის ინტელიგენცია უარს ჰყოფს ხალხის ასეთ მიუტელებელ საჭიროებას!.. მარა ამაზე ქვევით ვილაპარაკოთ და ახლა კი ცეტა სხვა რას-მეზე შეგჩერდეთ.

უნდა მოვასწავლოთ, რომ სამკითხველო-ბიბლიოთეკა ფოთშიაც არის, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ხან არის და ხან არა... როცა არ არის, მაშინ ცხემში გახლავთ ბიბლიოთეკა დაშფუტული და კარებზედაც ზოლიციის ბუჭედი აქვს მიკრული! არ შეგეშინდეს, მკითხველო, სხვა რამ არ აფიქრო, აქ სულ უბრალო მიზეზია, უბრალო გულმეფიწეობაა დანაშაული და სხვა არაფერი და არაფერი! ნებათთვის განახლება ეფიფილა თუჩმე საჭირო და ეს კი უცბათ გულზე გადაცდენიანთ გამგე ახალგაზდებს... ეს არის მიზეზი—სამკითხველოს ერთი თვის ტუსადობისა, მარა ასეთ უმნიშვნელო რასმეს თქვენი ჭირაც წაუღია, თუმცა, დაშეთანხმებით, საჯაფი საქმე კი არის თავისთავათ.

ამ ორი კვირის წიხეთ, როგორც იყო, ბიბლიოთეკის კარებს ახსნა ბუჭედი, ჩვეულებრივთ გაიღო კარი. და მიბრძანდენ ვითომ და სინათლის მძიებუქნი, „მიბძანდენ“-მეთქი მიტომ ვამბობ, რომ აქ მოსიარულე

ქვემოთაა

რჩეულთა წრეს სხვა სიტუვს ან შეჭყერის. მე, როგორც სტუმარი, მოკრძალებით გახსენით შიგ, დაგვიქე და სულ-განაბრებდა დაიწყო შემომხველთა თვალთვლება. შემოვიდა ერთი, თუმცა თავისთავად დიდი ვინმე, მარა სათვალავით კი მანც ერთი; მას მოჭყვს მეორე, ესეც ხარისხით ჰინჯველის სწორი, მარა თავისთავად ისიც ერთი; მესამეც ასეთი, მარა ანგარიშით ისიც ერთი და ერთი. აქ კი შეწედა მოძრაობა! ამ ნაირათ, შემოვიდა მხოლოდ სამი კაცი. მათემატიკურათ თუ არ ვინაგარიშებთ, — ეს სამი შეიძლება ას უბრალო მკითხველს უდრიდეს, მარა მე მათემატიკა დიდათ მრწამს და ასეთ შემთხვევაში მანც ვერ გადავუდგები.

— ვინ ბრძანდებოდენ ის ვაჟბატონები-მეთქი, — შევკითხე ერთ ნაცნობს.

— ახალგაზღვრების წარმომადგენელი, ბანკის წარმომადგენელი და მოცუვაგათა უსტაბაშია, — მიმასხუხა.

— ჭოო, ვითქვამს, ეს ასეც უნდა ყოფილიყო მეთქი. რაკი დღეს ახალი გადებულია ბიბლიოთეკა, მისი გულ-შემატვიფარი წარმომადგენლები და მამები მიესალმენ ჰინჯველათ და ხვალ კი მათი ხელ-ქვეითებიც გაიკებენ და მოვლენ მეთქი.

კათუნდა მეორე დილა. გაწვიე ბიბლიოთეკისაკენ, იმედებით აღსავსემ, და ჯერ გარედან შევიხედე ფანჯარაში, მარა მოულოდნელათ დავდინდი: შიგ ისეც და მხოლოდ წარმომადგენლები და მამები შეკრებილიყვნენ...

გულ-დაწვეტილი დაბრუნდი უკან. გზაში ერთი ნაცნობი ნაქარი შემხვდა (კვირა დღე იყო, რცხა ნაქარები თავისუფალი არიან შუა-დღემდე), რომელსაც დიდათ ვუსუფედურე ასეთი გულ-გრილობისათვის.

— ჩვენისთანა ხალხს სად შეუძლია თითო შაურის ხანდას ყოველ დღე გახეთის წაკითხვაშია! — მიმასხუხა მან.

ადმოჩნდა, რომ ფოთის სამკითხველო-ბიბლიოთეკა სხალხა და უფასო როდი ყოფილა, როგორც მე მეტონა და როგორც სხვა ქალაქებშია! ის ყოფილა წმინდა საინტელიგენტო დაწესებულება, სადაც იურიდიულათ ეგვლას აქვს სიარულის უფლება, ვინც კი ერთხნობით 4—5 მანეთს გადახდის წლიურათ, ან 25—50 კახ. თვიურათ, ან და თითო შაურს ყოველ შესვლაზე, ამ უფლებით სარგებლობა მხოლოდ უფრო შეძლებულ ხალხს შეუძლია და რადა საკვირველია, რომ ასეთ ბიბლიოთეკაში უბრალო მკითხველის ჭაჭანებაც არ იყოს.

ვის რა ხელი აქვს, რომ ბიბლიოთეკა მხოლოდ და კერძო საინტელიგენტო იყოს, თუ კი ასე სურს ინტელიგენტას და ამისთვის საჭირო ხარჯსაც თვითონ კისრულობს? რადა თქმა უნდა, — არავის. ჩვენ ინტელიგენტას ხამ მანინც აბუხათ იღებენ ზოგიერთები და, აი, ამით გულ-მოსული ფოთის ინტელიგენტაც განკერძოვდა და ეუბნება ხალხს: თქვენ თქვენთვის და ჩვენ ჩვენთვის! მარა საქმე იმაშია, რომ ფოთის სამკითხველო-

ბიბლიოთეკას ქალაქის თვით-მართველობისგან ნიშნული ყოველ-წლიური სურსიდა, ვგანებ 400 მანეთი. ქალაქის ფულები, მოკესხენებათ, მკვიდრთაგან არის შეტანილი და სამართლიანობა მოითხოვს უწინარეს ყოველისა მათ საჭიროებას მოხმარდეს. ფოთში კი ერთი მუჭა ინტელიგენტის გადაჭყვარება თავზე და სხვებს არ ანებებს!.. მე რე ვინ არის და ან რამდენია ეს ინტელიგენტა? სულ რენტგენის სხივებით რომ მოძებნათ, იქნება, 5—6 ინტელიგენტი აღმოჩნდეთ მთელ ფოთში. ესენიც სულ მოსული ხალხია, ესე იგი, ისეთი ხალხი, რომელიც თავის მხრით არაფერს აძლევს ქალაქს, ხოლო მისგან კი იღებს და ჯიბეში იწყობს.

ფოთში, როგორც ზღვის ჰორის ქალაქში, ბევრი მუშა ხალხია, სხვა-და-სხვა სააკტობებში და კანტორებში წვრილი მოსამსახურეები და სხვა, მარა ამათი ინტერესები და საჭიროება, როგორც ხედავთ, ჩაფურცლებულია.

კილარა.

წერილი ქართლიდან


(ლენურის ხეობა)

(დასასრული*)

მთელი ამოდენა ხეობა ესაა მხოლოდ ორ სამამსახლისოთ არის გაუფიცილი. ერთი ქვემო ქალისა (გორის მაზრაში) და მეორე წირ-ხაზორისა (დუშეთის მაზრაში). ქვემო ჭადის საზოგადოება შედგება შვიდი ძველი სამამსახლისოთაგან და შეიცავს ათას კომლზე მეტ მცხოვრებს. ეს ამოდენა სამწესო იმწევსება ესაა ერთი სამამსახლისოდან და კარკათ წარმოიგებთ თუ რა ცოდნა-გამოცდილება, სინდისი და თავ-დადება იქნება საჭირო ამ თანამდებობა-მოვალეობის გასაძღვლათ. ჰინჯველ ხანებში, რცხა ეს ცვლილება შემოვიდა, ეს თანამდებობა ჩაბარდა თავადიშვილს, შაგრამ რადაც მოულოდნელი მიზეზის გამო ვადის შესრულებამდისვე ჩამოართვეს ეს თანამდებობა და გარდასცეს გლეხს, გლეხიდან ისეც თავადს, თავადიდან კიდევ გლეხს, რომელმაც (მგონია ქრთამების გულისათვის) ციხის კარებიც ნახა; ახლა აბარია კიდევ სრულებით უსწავლელ გლეხს, რომელიც სამი წლით იქნა ამორჩეული და რომელიც თუმცა სინდისიანი და კაი ოჯახის შვილია, მაგრამ ფრიად უვიცი, ხელის მოწერაც არ იცის. აბა ამისთანა ჰინჯვისგან რა იმედი უნდა იქნინოს ხალხმა და ან რა ზეტონობას გაწევენ სამწესოს.

თავდაზინჯველათვე სარდავამ გლეხებმა ბევრი იუარეს ამგვარი ცვლილების შემოღებაზე და იმ დიდი ხარჯზე, რომელიც მათ თავს დაწვათ ახალი სამამსახლისოსთვის, მაგრამ ვინ გაუგონათ! ამ ყმათ ხეზრე და გაუ-

*) იხ. „კვალი“ № 45.



თელ მამასხლისისთვის, მწერლისა და ჩაფრებისთვის შეწერილია კომლზე ყოველწლიურათ ცხრა-ცხრა აბაზი, წინანდელ წეს წეობილების დროს კი ამის ნაწვლათ ინდიდენ მხლათ სამ ჩანახ ჭინჩასულს. ხალხს ის უფრო წეინს, რომ ამოდენა ფულით დირსეული კაცი მაინც დაგვეყენებიათ. უფროსების ბრძანებით მამასხლისი უეჭველათ გლეხი უნდა იყოს თურმე და, რადგანაც ამ ჟამათ გლეხებში არ გამოცდებმა ერთი საკმაოთ ხასწავლი და დირსეული შვილი, ამიტომ ჩაცვივდენ ისეთ ტუტის სელში, როგორც ზემოთ მოგახსენეთ. ახალი არ-ჩეგნების დროს წელს, ათ მაისს, ხალხმა მოისურვა ხასწავლი კაცის ამოჩეგნა და კიდევ ჭეგვდათ სახეში ორი საიმედო ზირი, მაგრამ რადგანაც არც ერთი მათგანი გლეხთა წოდებას არ ეკუთვნოდა შიშით ვერცკი განცხადეს თავისი სურვილი. სასურველია ურადლება მიაქციოს ამ კარგიმებას ვინც ჯერ აქს და ხალხის სურვილის მიხედვით გაუმწესონ ხალხე მათთვის სასარგებლო კაცი. ამ საქმეს გობეხე კიდევაც ეშველას, რადგან ჯერ ახლათ ამოჩეგნულ მამასხლისს არ ჩაუბარებია თავისი თანამდებობა.

მე გვინებ, ვისაც ამოდენა საზოგადოება გულითა და სულითა თხოვს და მოიწვევს, და ვისაც საწყადი ხალხისთვის გული შესტეგვა, არ დაიზარებს აქ სამსახურს, მით უმეტეს, რომ ჯამაგირიც საკმაოა. რომ ჩავაგდოთ ათას კომლზე ცხრა-ცხრა აბაზი, რომელიც ეხლა შეეწერათ — შეადგენს ათას რვას მანეთს, რაც საკმაო თანხაა საჭირო მხელე ზირების შესახათ. ამას დაუმატოთ ისიც რომ თუ აქამდის სამ სუდას, ჯილდოთ თვეში ხუთ-ხუთი მანეთი ეძლეოდათ, ახლა მუქათათ სამსახური ებრძანათ; მათ ჯილდოს ამას იქით მარტო ხარჯებისაგან გათარხნება უნდა შეადგენდეს, რომელიც არ აღემატება თითოზე სულ თხუთმეტ-ოცს მანეთს. ახლა მადი ვიფიქროთ და გავსაჯოთ ჩვენთვის რომელი ზატისანი და ოჯახიშვილი იმსახურებს წელიწადში თხუთმეტ და ოც მანეთათ? ან და რა გული უნდა ჭქნდეს სამსახურზე? სულ რომ ცოტა ვთქვათ კვირაში ორ დღეს მაინც მოცდება სამსახურის ვამო და ეს საწყადი გლეხის ოჯახისთვის დიდი დასაკლისია. აბა ამ ზირებებში ვინც დადგება სუდათ, ამბობენ ზოგს კიდევ უხარიათ, რისთვის თუ არ ქრთამების იმედით; როცა უვაცს გლეხს აბარებენ ამისთანა წმინდა მოვალეობას ხელმძღვანელებენ თურმე სხვათა შორის ორი მოსახარების: ერთი რომ გლეხს თვით მართველობა არ ჩამოერთვას, და მეორე, იმედი ჭქანათ მწერლისა, რომ იგი განაკებს საქმეთა ვითარებას როგორც ოგი და წესიან, ეს ჩვენთვის საკვირველია და აი რატომ: ცხლათ ვიცით, რომ მწერლის თანამდებობაზე ნიშნავენ უკლას წოდება-ჩამომავლობის განურჩევლათ, აქ საჭიროთ არავინა თვლის, რომ იგი უეჭველათ გლეხი იყოს, ხალხ მამასხლისი კი გლეხია, რომელსაც წინ უძღვება

არა გლეხი, მწერალი. ამგვარ მამასხლისს ჩასწავლეს იმას ჩადენინებს და შეამთხვევს, საითაც უნდა იქით უზამს თავს ორ-შაურის არსების წერაში გამოქნილი „მოსე მწერალი“. როგორი თვით მართველობა შერჩება გლეხს ამისთანა ზირებებში, არ გვესმის.

ამისთანავე არ შეგვიძლიან დიდი საყვედური არ გამოვუცხადოთ იმ ზირთ, რომლებსაც ამ მხრის სამეურნეო ზრუნვა-პატრონობა აბრიათ ე. ო. გვრეთ წოდებულ ინსტრუქტორებს, მებაღეებს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ აქაურობა სავსეა ბად-ვენახებით, მისდევენ თითქმის ყოველნიან კულტურას, მაგრამ ხელი კი არ იციან. რაც მოჭევათ და აშენებენ ისიც დასენინებულთა და დღეს უმეტეს ხალხს გულ-შემატკივარი სწავლული სპეციალისტი არსად უხანს; თუმცა კარგა ხანი მთავრობისაგან იგინა დანიშნული ყოფილან, მაგრამ ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში ხალხს ისინი მხლათ ერთხელ უხანავს და მაშინაც დიდი ბატონების სასახლეებში და არა მდამოა ხალხში, რომელსაც უფრო უჭირს მათი დარბება და სწავლა. არავინ იცის თუ სდ არიან ეს ზირნი, და რას აკეთებენ. საწყადი კაცი კი დამარეული შეცქერის თავის გაკორტნილ ხეებს და გამხმარ ვაზებს. ჩვენი აზრით, ამ ვაჟ-ბატონების მოვალეობას შეადგენს თავის მხრასში ხშირი მოგზაურობა, დათვლიერება მოსავლისა, კვლევა ყოველგვარ ავამეოფობათა და ხალხის სწავლა და დექტივების კითხვა, თუ არ ყოველ თვე, წელიწადში რამდენჯერმე მაინც დროების მიხედვლობით.

ახლა მოკლეთ გავიხსოვოთ მეორე — ჩრდილოეთის და მთის ნაწილი ღებურის ხეობისა. აქაური მცხოვრებნი ოსებიცა და ქართველებიც ბად-ვენახების უქონლობის გამო მისდევენ ხვნა — თესვას, თხა-ცხვისა, დროის და საქონლის მოშენებას, მაგრამ არც ერთი ამ დარგთა განი ისე არა ჭეგვთ დაუეხებულთ, რომ მით გაუჭირვებული ცხოვრება შეეძლოთ, ამიტომ ოსები, ქალით-კაცამდის, ქალაქ ადგილებში გადაინ მოსამსახურებთ; ძიძებთ, დედაკაცებთ, მზარეულათ, ლაქიებთ და სხ. წინეთ ვინც ამას არა შერებოდა და სოფლათ რეობოდა სხვის ამაკ შეეჭტეოდა და ქურდობა წმინდა საქმე-მოვალეობათ გაეხანდათ, მხლათ ამ ბოლო დროს, რაც სოფლებში მცველები განაწესეს და საეჭვო ზირნიც, რამდენათაც შეიძლება, დააჩიეს და გადასახლეს, ეს ხელობა ძალიან შედგა*). სწავლა განათლების მხრივ ამ ნაწილის მცხოვრებნი თუმცა ჯერ კიდევ ბუნელით არიან მოცულნი, მაგრამ რაკი კარათაც გადას და ქალაქებში უხდებათ ცხოვრება, იქა სწავლობენ ქართულს და ხშირათ რუსულ წერა-კითხვას და ახგარიშსაც, და წარმოადგინეთ იმდენათ იუფანდეს, რომ

*) ამ საქმეში დიდი ადმინისტრაციული ნიჭი და გამოცდილობა გამოიჩინა ცნობილმა დუშეთის მაზრის უფროსმა ბ: ნ. ალექსიევ-მესხიშვილმა.

მათ კვლევებში გამოიძიებნა სამამასხლისო კაცი, რომელიც, ცოტათ თუ ბევრათ, შესენილია და თუ ეტად იქნება ზირ ნათლათაც შესრულდეს თავისი ძნელი მოვალეობა. ამ სამამასხლისოს ეწოდება წირის ანუ სახარის სამამ. და შეიცავს დიდ ადგილსა და მრევლს; ხეობის ამ ნაწილში, სოფელ სახარში არსებობს კარგა ხანია სამინისტრო სასწავლებელი, საკუთარ კოხტა და ფართო შენობაში. წინეთ აქ შეგიძლება საკმაოდ დადიოდენ თურმე, მარა მერე მათმა რიცხვმა თანდათან იკლო, ასე რომ წყლს ერთი შეგიძლება ადარ არის და საზოგადოება ზირდაზირ თხოვლობს სკოლის დახურვას. ფიქრობენ შენობას დაჰშლით და სასოფლო სამმართველოთ მაინც იქნება გამოფიქრებოთ; აქ დღემდის კი მასწავლებელი ირიცხება და სრულ ჯამაგირსაც იღებს. რას მივაწეროთ ამგვარი ზოზლი საზოგადოებისა სკოლისადმი, არ გვესმის, მით უმეტეს რომ მასწავლებელი თითონ ტომით ოსია და მის ხელში ოსის ბავშვებს რა გაუძნელებოდათ! იმედია კარგათ გამოიძიებს და გამოიკვლევს ამ სკოლის საქმეს. ვისიც ჯერ არს, იზონის მღვრიე ნაკადულის სათავეს, გასწორებს შეტდომილებას და მით სკოლას კარებს არ გამოუეკტავს. ჩვენი აზრით, სხვათა შორის გზების უფარგისობა და თითქმის სრულიად უქონლობა ხელს ბევრათ უშლის ამ საქმეს ვიტყვით კიდევ, რომ ფრად საჭიროა ერთათ ერთი გზა ხეობისა, სოფელ მონასტრიდან ან თვით ქარიდან დაწეობილი სოფელ სახარამდის მაინც გაკეთდეს, სადაც არსებობს სკოლა და რომელიც ითვლება უმთავრეს სოფლათ ხეობის ნაწილში. არც აქაურ მღვდელ-დაიკვნებს ადგიათ კაი დღე, არც ერთ მათგანს სამუდამო სადგური არა აქვთ თავის მრევლში და თითქმის თხოთმეტ და ორმოც ვერსიდან დაიარებიან სამსახურის ასასრულებლათ, მერე ისიც ამისთანა გზებზე. ამგვართ ერთიც იტანჯება და მღვდელიც და ბევრი უსამოფნობაც ხდება. სამწუხაროთ აქამდის ჯერ ერთი ისეთი ზატრანი არაფინ გამოჩნდა, რომელსაც ეშველა რამე ამ გვარი უხერხულობისათვის.

ბოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ლეხურის ხეობა თუ ამ ჟამათ შესანიშნავია თავისი სიკვლეუციოთ, ისტორიულათაც დიდ მნიშვნელოვანი ეოფილა, როგორც ეს ჩან იმ აურაცხველ ისტორიული ნაშთებიდან, რომლებიც ამ ზაწაწინა ხეობაში დღესაც მოაბოვება. აქ დღესაც კაცი ხედავს სამ დიდ ციხეს: ცხვილოხასს, ლეგმაშეთისას და არმაზ-ზახორისას და სამ დიდ სობორს: სამთავისისას (აწ განახლებული თავად ივანე გივისძე ამილახურისაგან), მონასტრისას და არმაზისას (ეს ორი უკანასკნელი ახლა გაუქმებულია). ეს სამი ციხე და სამი კვლესია სახელდობ მოვიხსენიეთ, როგორც უფრო დიდები და შესანიშნავი, ხოლო თუ ვიანგარიშებთ ეველა კვლესია და ციხე-კვლეს-სიმაგრეებს, რაც ხეობაში ეოფილა და კიდევაც იმეოფება, მათი რიცხვი ასს ბევრათ აღემატება.

ეველა ეს აურაცხველი ისტორიული ნაშთები საზუთს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ ოდესმე ზაწა მდინარე ლეხურის კიდებზედაც ეოფილა აყვავებული ჩვენი მამული, ოდესმე აქაც უდღუნია ქართველის სიცოცხლეს, უქუხნია მის ხმას და მათსადამე ლეხურაც ერთი უკეთესი და უძველესი მოწამეთაგანია ჩვენი წარსული ცხოვრებისა.

სამწუხაროა მხლოთ, რომ ეს მამაგე მდინარე წყალი ახლა მტრათ გადაქცეულა და ამ ძვირფასათ შემეობილ ხეობას ეოფელ წლივ დიდ სარგებლობასთან აურებულ ზარალსაც აძლევს. ამის მიზეზი ის უნდა იყო, რომ სასატრელი ტეიანი მთები ჩამოსახლებულმა ოსებმა მიკაე-მოკაფეს, გაატყვეს, ბუნება დაასახინრეს და ახლა ზატრან დონიერი წვიმა რომ მოვიდეს იმ გვართ მოვარდება ხოლმე ეს ზაწაწინა წყალი, რომ სულ თან მოაქვს არე-მარე, ტეე, დრე, მინდროი, ვენახი, წისქვილი, საქანელი, მთელი სოფლები და ხშირათ ხალხიც: ერთი სიტყვით მილიონათ დირებული მამულები აქვს წადებულ-გაოხრებული და ამ მხრიავც ჯერ ვერავის უთავნია ზატრანობა და მისი გამაგრება, თუმიც ეს ადგილათ შესაძლებელია, თუ, რასაკვირველია. გული იგულებს და ხალხიც თავს გამოიდებს.

კირისუფალი.

უგულობა

(გაგრძელება)*



მხულება გაქვს დასაწერი? ჰკითხა ნასადილვეს ფატიმ გიგუცის.


— ჰო, „Мѣдный всадникъ“-ის შინაარსი ფატი გრძნობს, რომ უმჯობესია თითონ გიგუცი დააჯინოს, წააკითხოს „Мѣдный всадникъ“-ი,

მოაყოლოს, მერე თითონვე დააწერინოს და გაუსწოროს, მაგრამ ისე დაღალულია, ისე უბედურია, ისე დასუსტებულია, რომ არაფრის თავი არა აქვს...

— მომიტანე, დავიწერ და გადაწერე! — მიუბრუნდა ის გიგუცის.

— ურაა! — ერთ არშინზე ახტა სიხარულით გიგუცი, რომელსაც ეგონა ფატი თითონ მე დამაწერინებსო.

— მე უბის წიგნი უნდა ვიყიდო! — ეფურჩულება ბესო გიგუცის. — რა ხანია, მისი ყიდვა მინდოდა...



— ბოქსი? ბოქსი არ უნდა გვეყიდნა?—უბასუხებს გიგუცი.—გახსოვს, უკანასკნელ ჩხუბში ჩვენ და რეალისტებს შორის, იმათ გაიმარჯვეს, რადგანაც თითქმის ყველას ბოქსები ჰქონდათ. ბოქსი არ ჯობია რომ ვიყიდოთ?

და ორივე ძმა ხელ ახლა იწყებენ გამოანგარიშებას რამდენ რასმეს გაწვდება მათი სიმდიდრე, მათი ქალაქის ერთმანეთიანი...

— ბოქსი... უბის წიგნი... ვეგენი... პეტრე დიდი... ყველაფერი ერთათ არის ფატის თავში არეული და თითონაც უკვირს, რანაირათ ახერხებს თხზულების წერას. მისი ხელი კი სულ დაულაღვათ დარბის ქალაქზე და თეთრი ფურცლები მისი ლამაზი ნაწერით ივსებიან...

— ჩვენ მიგაცილებთ სადაც მიდიხარ!—გამოუცხადა ბესომ ფატის, როდესაც ეს უკანასკნელი ისევ გაკვეთილზე წასასვლელათ მოემზადა.

— გზაზე რაღაც-რაღაცეები გვაქვს საყიდელი!—უხსნის გიგუცი დას და ორივე ძმას სახე მხიარულათ უცინის. საყიდლები აქვთ და თითონ მიდიან საყიდლებზე!

— თქვენი ძმები იყვენ?—მიეგება ფატის სასტუმრო ოთახში მეხუთე კლასის მოწაფე, რომელიც ფანჯრიდან იყურებოდა და მიმავალ ბესოს და გიგუცის მიჩერებოდა.

— ჰო, ძმები!—მიუგო ფატიმ და შლიაბა მოიხადა.

— ნეტავი ოთხ-ოთხი წლით უფროსი იყვენ!—გაიცინა მოწაფემ.

— არც ჩვენ დავიწუნებდით!—დაეთანხმა ორი ამხანაგი.

— დანარჩენები სად არიან?—იკითხა ფატიმ.

— ბაღში, თამაშობენ. ახლავე დაფუძახებ!—და ახალგაზდა დიასახლისი კარში გავარდა.

რა სიამოვნებით შეუერთდებოდა მათ ფატიც, რა მხიარულათ ითამაშებდა ისიც მათთან ერთათ ბაღში, დაივიწყებდა ყველაფერს, ყველაფერს და მათსავით უზრუნველი და მხიარული იქნებოდა! მაგრამ... ფატის სად ცალია სათამაშოთ და სამხიარულოთ, ყველა ეს მდიდრების საქმეა, იმან კი... იმან მთელი დღე ლუკმა პურისთვის უნდა იშრომოს.

მეხუთე კლასის მოწაფეები, რომლებსაც ფატი ყველას ერთათ ასწავლიდა ნასადილეობით მათემატიკას, ექვსივე ამ დროს ბაღში მოგროვილიყვენ და გაცხარებით ლაპარაკობდენ.

— ვერა, ვერა, ვერ მოახერხებ!—ეუბნებოდა ყველა თმა-გაწეწილ, შავგვრემან, პატარა და გამხმარ ანოს.

— აგერ ნახავთ, ოღონდ თქვენ არ გაგეცნოსთ და ხელი არ შემიშალოთ.

— და დღეს სულ არ ვისწავლით?

— სულ. და მერე თუ გინდათ, თითონ იმასაც შენს მოეუგებ, ყველა ეს განგებ ვქენითქო.

— როგორ გაწყრება!

— ვერაფერსაც ვერ იზამს!

— აგრე მოუხდება! ასე ჰგონია, ძალიან გვესიამოვნება, ყოველთვის მის ჩამომტირალ სახეს და სულელურათ გამოშტერებულ თვალებს რომ ვართ მიჩერებული. რა ექნა, მე მხიარული, მოდიმარი, სახეების მოყვარული ვარ და მაგისთანა ლაწირაკები ჭირივით მეჯავრება... დღეს მაინც მისთანა გუნებაზე ვარ, რომ მაგის სახის ყურება არ შემიძლია...

— მერე უფრო არ მოეშხამება სახე, იმ ამოცანას რომ მიცემ გასაკეთებლათ?

— მერე მე რა? მე ვეტყვი, სანამ თქვენ მაგას გააკეთებდეთ, ჩვენ ბაღში ვიქნებით-თქო.

— წამოვიდეთ და „Анна Карѣвна“ ვიკითხოთ. რა ხანია, აღარ გვიკითხავს, ურააა!—ტაში დაუკრეს ამხანაგებმა.

— ბევრი გაკვეთილები გაქვთ?—ჰკითხა ფატიმ მოწაფეებს, შევიდენ თუ არა ყველა ერთათ სასტუმრო ოთახში.

— არა, მარტო ერთი ამოცანა გვაქვს გასაკეთებელი.—დი მოწაფეები გარს შემოუხსნდენ შუა ოთახში გამოწეულ დიდ რგვალ სტოლს.

— ჩვენ ვერგავაკეთეთ, ბევრს კი ვეცადეთ.—დაიწყო ანომ და თვალებმა ეშმაკურათ უელვეს.

— რომელი ნომერია?


— წიგნიდან არ არის, ისე გვაქვს, დაწერილი.

—და ანომ ქალაქი გაუშვირა. იქ იყო დაწერილი ამოცანა, რომელიც მასწავლებელმა დღეს მათ კლასში მოუტანა.—ეს ამოცანა პირველ წაკითხვაზე ძალიან ადვილი ჰგონია ადამიანს, მაგრამ ნამდვილათ კი საშინელი ძნელიაო;—გამოაცხადა მან—ერთმა სამათემატიკო ჟურნალმა დაბეჭდა და დიდი საჩუქარიც დაუნიშნა გამომცნობელს... იქნება ვინმე თქვენგანმა მიიღოს ის საჩუქარი?—ლიმილით დაუმატა მან.—თქვენ კი არ გინდათ?—ადგილიდან წამოხტა ანო.—უნდა გამოვტყდე, რომ ვერ გავაკეთე!—გაიღიმა მასწავლებელმა.—უთუოთ აქ ცოდნა კი არა, რამე ხერხია საჭირო. წაიღეთ ყველამ თქვენ თქვენ სახლში დანაცნობებში გაავრცელოთ, იქნება ვინმემ გააკეთოს.

— მგონა, ადვილი უნდა იყოს!—ჩაილაპარაკა ფატიმ.

— ჯერ ჩვენც აგრე გვეგონა!—ცბიერათ გაიღიმა ანომ.

ფატი კეთებას შეუდგა. გავიდა მეოთხედი საათი, გავიდა ნახევარიც, ამოცანის გაკეთებას კი არა ეშველა-რა.



— ჩვენ ბაღში მოვიცდით, რომ გააკეთოთ, დაგვიძახეთ!— ცოტა ხანს იქით მიუბრუნდა ანო.

— კარგი!— უყურადღებოთ უბასუხა ფატიმ.

მხიარულათ წამოცვივდნენ მოწაფეები და მალე ბაღიდან მოისმა მათი მხიარული ყვირილი-ხვილია.

— ბედნიერები!— ამოიოხრა ფატიმ და ისევ ამოცანას შეუდგა; მაგრამ ამოცანა არ გამოდიოდა; აი, აგერ გათავდა, აგერ მალე პასუხსაც მიიღებს... და უეცრათ შენიშნა და ფატი ისეთ პატარა გარემოებას, რომლისთვისაც უწინ ყურადღება არ მიექცია... და ყველაფერი ხელახლათ უნდა დაიწყოს... კიდევ, კიდევ... რამდენჯერ მოუხდა თითქმის ბოლომდის მიღწევულს უკანვე დაბრუნება, საქმის თავიდანვე დაწყება... ფატის გაახსენდა თავისი თავი, სულ პატარა, 6—7 წლის; ის და მამა მისი სოფელში ეწვიენ ვიღაც ნაცნობს; სოფელში წყალი დაწრითეს; სველი, ნოტიო მდინარის ძირი თითქო ზევით ამოიწია; იქ, აქა-იქ ორმოებში დარჩენილ წყალში ქვებს შორის მარდათ დასრიალებდნენ დაშინებული თევზები; აი, ფატი, ფეხშიშველა, კაბა აწეული, მხიარულათ დახტის ერთი ქვიდან მეორეზე და ერთ კალმახს დასდევს; კალმახის წითელ წინწკლებიანი ვერცხლისფერი ზურგი ლამაზათ ბრტყვიანებს მზის სხივებზე... ფატი ცდილობს, ბოლოში სტაცოს ხელი; აი, სტაცა, მოკიდა, დაიჭირა... და უცებ კალმახი ხელიდან უხსლტება და ყველაფერი ხელ ახლათ უნდა დაიწყოს... კიდევ, კიდევ... რამდენჯერ მოუხდა თითქმის მიღწევა თავისი მიზნის და ისევ უკან დაბრუნება, ნადირობის ხელ ახლა დაწყება... უეცრათ ტყლაშ! . და ფატი შიგ შუაგულ წყლით სავსე ორმოში ჩავარდა...

— ოჰ, ოჰ, ოჰ! ჩემ ქალს ახლავე ეტყობა, რომ კარგი მეთევზე გამოვა იმისაგან!— იცინის მამა და ფრთხილათ აყენებს გაწუმბულ შვილს... უნებლიე ღიმილი შეეპარა ფატის მაგრათ მოკუმულ ტუჩებს...

უეცრათ ახალგაზდა ქალი შეკრთა; ბიჭმა ანთებული ლამაზა შემოიტანა; ნუ თუ ასე გვიან არის? რომელი საათია?

— ქალიშვილებს დაუძახეთ.— მიუბრუნდა ის მსახურს.

— მეც კი ვიცოდი, რომ ვერ გააკეთებდით!— მხიარულათ შემოაკრიალდა ოთახში ანო.— ახლა უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეგ ამოცანა განგებ მოგეცით... ჩვენი გაკვეთილი სრულებითაც არ არის, ჩვენ კი არა, ჩვენმა მასწავლებელმაც ვერ გააკეთა!..

ფატიმ ტუჩებზე კბილი დაიჭირა, შეურაცხყოფის კრემლები ძლივს შეიკავა... რა უგულო, რა

ბოროტია ზოგი ადამიანი!.. ხმაც არ ამოუფრთხილა, ისე დაიხურა შლიაპა, აიღო ხელში თავისი წიგნები და კარებისკენ წავიდა, მხოლოდ ერთი კი გადახედა ამ ახალგაზდა, უზრუნველ ქალებს... და რამდენი ტანჯვა, რამდენი სევდა გამოიხატა მაშინ იმის მიმქრალ თვალებში!

— გვიან არის! ჩაი მიირთვით!— კრძალვით უთხრა სახლის პატრონის ქალაშვილმა, მაგრამ ფატის მისკენ არც კი მიუხედნია, ისე გავიდა კარებში; ჩვეულებრივათ ფერ მკრთალი სახე ახლა სრულებით გაყვითლებოდა, თვალები ძირს დახრილი ჰქონდა, ტუჩები უთრთოდა...

მოწაფეები ერთ ხანს ჩუმათ იდგნენ და ერთმანეთის შეხედვისაც კი რცხვენოდნენ.

— რა უსინდისო ვარ, ღმერთო, რა საზიზღარი ვარ!— უცბათ წამოიძახა ანომ და ქვითინით იქვე დივანზე დაემხო. თვალ წინ სულ ის გაყვითლებული სახე, სულ ის შეურაცხყოფისაგან ათრთოლებული ტუჩები უდგა... ის გაჯავრებას, დაყვირებას მოელოდა, მაშინ კი მოახერხებდა პასუხის გაცემას, მაგრამ ეს უსიტყვო გადმოხედვა, ეს ტანჯვა, ეს სევდა ამ მიმქრალ თვალებში...

მოწაფეები არ იძროდნენ და გაშტერებით შეჩერებოდნენ ანოს, რომელიც დივანზე დამხობილი შეუწყვეტლათ ქვითინებდა და ქვითინებდა...

— უბის წიგნიც ვიყიდეთ, ბოქსიც!— კარებშივე მივარდა ფატის გიგუცი.

— მართლა?— მიყრუებული ხმით ჰკითხა ფატიმ ძმას, პირდაპირ თავის პატარა ოთახში შევიდა და კარები ჩაიკეტა.

— შეილო, ჩაი არ გინდა? ცხლათ შევინახეთ!— მიაძახა დედამ.

— არა, იქ დავლიე!— და ფატი მოწყვეტით დაეშვა თავის ლოგინზე, გაღებულ ფანჯარასთან. რაც კი რამ დასაკლისი, რაც კი რამ უბედურება გამოველო ფატის მთელ თავის სიცოცხლეში, ყველაფერი ერთიანათ ამ წამს წარმოუდგა წინ; მთელი მისი სიცოცხლე, უფერული, უსინარულო სიცოცხლე, ნათლათ დაეხატა წვალ-წინ... ღმერთო, ღმერთო, რისთვის, რატომ?— გულსაკლავათ წაიჩურჩულა ფატიმ, ორივე ხელი მიიჭირა საფეთქლებზე, ულონოთ დაეცა ბალიშებზე და გაქვავდა... დიდ-ხანს იწვა ასე; გამორკვევით, გამორჩევით არაფერზე ჰფიქრობდა, მხოლოდ უსაზღვრო უბედურათ გრძნობდა თავს და ხანდახან, თითქმის მის უნებურათ, მისი ტუჩები ჩურჩულით იმეორებდნენ, რატომ, რისთვის, რისთვის, ღმერთოოო!..

ქართული

გაღებულ ფანჯარაში გაზაფხულის სიო შემოჰქიქინებდა და ალერსიანათ უგრილებდა ფატიანთებულ სახეს... აგერ სიოსთან ერთათ რაღაც ნაზი, წარმტაცი ხმა შემოვიდა... აი, კიდევ, კიდევ... ფატიმ თავი ზევით აწია და ყური დაუგდო... ვიღაცის მცოდნე თითებს ქვეშ როიალი მწუხარეთ კენესოდა, ნაღვლიანი, სევდით სავსე ხმებით რაღაც გამოუთქმელ ნეტარებასთან შეზავებულ უზომო მწუხარებას იწვევდა ადამიანის გულში... ხან-და-ხან ხმა სრულიად შეწყდებოდა ხოლმე და მაშინ კიდევ დიდ ხანს ისმოდა ჰაერში, ჰკანკალებდა და ნელ-ნელა ჰქრებოდა უკანასკნელი ჰარმონიული აკორდი... მერე ისევ იწყებოდა ნაზი, ალერსიანი, სევდით სავსე მუსიკა... თან და თან ძლიერდებოდა, ძლიერდებოდა და ბოლოს თითქო გულ-საკლავ ქვითინათ იქცეოდა... საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა ამ შვენიერ, გრილ გაზაფხულის მთვარიან ღამეში ეს რაღაც უნუგეშო, ნაღვლიანი, გულისწარმტაცი მუსიკა; თითქო ვიღაცის მოუსვენარი სული ჰკენესოდა და ჰქვითინებდა სადღაც ბნელ საპრობილეში დამწყვდეული, ჰქვითინებდა და ისწრაფოდა სადღაც შორს, შორს ამ ბნელეთი, ამ უბედურებისაგან, სადღაც იქითკენ, სადღაც სინათლე, ბედნიერება, მხიარულება და თავისუფლება... მაგრამ არსაიდან შველა, არსაიდან ნუგეში არ იყო... მოუსვენარი სული კი სულ ჰქვითინებდა, სულ ჰკენესოდა... აი, გაისმა მისი უკანასკნელი მწარე ამოოხვრა, გაისმა და ნელ-ნელა გავრცელდა ჰაერში, თითქო მამაკვდავმა ავამყოფმა უკანასკნელათ ამოისუნთქაო და ამ ამოსუნთქვასთან ერთათ გამოეთხოვა მთელ ქვეყნიერებას, გამოეთხოვა ამ შვენიერ, მთვარიან გაზაფხულის ღამეს, ამ ვარსკვლავებით მოკენჭილ ცას, ამ გრილ, სასიამოვნო სიოს, რომელიც ახლა ისე ალერსიანათ ეფერებოდა ფატის...


ერთ ხანს ფატი უნძრევლათ დარჩა, ის თითქო ელოდა, აგერ ხელ-ახლავ დაიწყება მუსიკა, ხელ-ახლავ აკენესდება დამწყვდეული მოუსვენარი სული... მაგრამ წამები გადიოდნენ და გარშემო სიჩუმე სუფევდა, მხოლოთ გაზაფხულის სიო შემოჰქიქინებდა ოთახში და უგრილებდა ფატის ანთებულ სახეს... ამ სახეზე ახლა სრული ბედნიერება, სრული აღტაცება იხატებოდა, თვალეში მოულოდნელი ცრემლები ეღვარებდნენ...

— დმერთო! — მხოლოთ ამის თქმა მოახერხა ახალგაზდა ქალმა; დიდი ხნის, რამდენიმე წლის შეკავებული ცრემლები ერთათ მოაწვენ ყელში; ძლივს, ძლივს იშოვნეს გამოსავალი ცრემლები დაბალუბით ჩამოდიოდნენ მის გამხდარ,

ფერ-მკრთალ ლოყებზე; ფატი ისეთ თავდაუფლანკოზას გრძნობდა, ისე მსუბუქათ, ბედნიერათ გრძნობდა ამ წამს თავის თავს, თითქო ამ ცრემლებს თან გამოჰქონდათ მისი გულიდან ყველა ის სიმწარე, ყველა ის უკმაყოფილება, რომლებსაც იქ დიდი ხანი იყო, ფეხი მოეკიდათ...

ელ. წერეთელი.

(დასასრული იქნება)



წერილები რედაქციის მიმართ

I.


ქ-ნო რედაქტორო! გაზეთ „კვალის“ მე-47 ნომერში მითავსებულა წერილი ბ-ნ ა. საბუღიანისა ამ სათაურით: „ლენხუმ-სვანეთის საზოგადოების საუკუდადებთ“. თავის წერილში ბ. საბუღიანი სამართლიანათ უსაყვედურებს ლენხუმის საზოგადოებას, რომ, მაშინ, რადესაც თითქმის საქართველოს ყველა გუთხემ ცოტათ თუ ბევრათ გაიღვიძა და გამოირკვა საღათს ძილისაგან, ლენხუმელები და სვანები ჯერ კიდევ ლუარსაბულ ძილში არიან გახვეუნი და გამოღვიძებას არ აპირებენ. რომ ზემო ნათქვამი ცხადი და მართალია, ამაში, არა მგონია ეჭვი შეიტანოს ვისიმე, მით უმეტეს იმან, ვისაც კი ლენხუმის არე-მარე დაუგლია, მთელ მსოფლიო ვერ ნახავთ ვერც ერთ სამკითხველს და ის ერთი თუ ორი სკოლაც, რომელიც მთავრობამ დაუარსა შვედრთ, ვერ არის სასურველ მდგომარეობაში. მთელი ლენხუმის მსოფლიო, რომელიც თითქმის 60,000 მცხოვრებისაგან შედება, წარმადგენს რაღაც გაუინულ კუნძულს, რომელზედაც სიცოცხლე დღითი-დღე უინდება, ქრება... და ეს მაშინ, როცა მეოცე საუკუნეში უკვე გადავდგი თუ ვინა... მივაქტვევ რა უურადებას ლენხუმის საზოგადოებისს ბ-ნ ა. საბუღიანის მოწოდებაზე, ჩემის მხრითაც დავემწივები, რომ თუ კი ლენხუმში მართლა არის „საზოგადოება“, რომელსაც შეუძლია რამოდენიმე პირს მიანდოს საქმის შეთავრება და დაიარსონ სამკითხველ ლენხუმის შუაგულში დ. ცაგერში მაინც, საცა ანსებობს ყველა დაწესებულებანი მსოფლიო, მე ჩემი მხრივ ვსწირავ ამ საქმის განხორციელებისათვის, ჯერ-ჯერობით ოც მანეთს, რასაც გადავსცემ იმ პირთ, რომელთაც ლენხუმის საზოგადოება აირჩევს ამ საქმის გაძღვლისთვის. და შემდეგ შეიძლება შემწეობა აღმოუჩინოს სასურველ „სამკითხველს“ თუ ფულით და თუ წიგნებით.

თფილისი.

ალექსანდრე ნემსაძე.

II.

ქ-ნო რედაქტორო! გაზეთი „კვალის“ № 45 და 47-ში მითავსებულა წერილები ს. დვანაშვილის ჯვანდუმედი ბიბლიოთეკის შესახებ და რადგანაც ეს წერილები მოკ-



ლებულნი არიან ეოკელგვარ მიუდგომელ მართლმსჯელობას, უმორჩილესათ გონივრთ თქვენ ზატევერემულ გამტემაში ამ მტირე შენიშვნასაც დაუთმით ალაგი.

ბ. არაბულიძე (№ 45) მწუხარებით ამბობს: მთავრობის წინადადებით აქურმა ინტელიგენციამ ბევრი უქადაგა ხალხს სკოლის ორკლასიანთა გადაკეთებაზე, მარცხდამ უნაყოფოთ ჩაურათ და მხოლოთ „უსაქმურების“ სახელი დაიშასხურეს“-ო. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ბ. არაბულიძე, რადგანაც გამოცდილებამ დავანახვა, რომ თუ ხალხს მოთხოვნილება და ამ მოთხოვნილების გასახორციელებელი მატერიალური საშუალება არ ჰქონებოდა არას დროს, ინტელიგენტების ქადაგებით არაფერი არ გაკეთებულა და რაღა დავაბუდელები ჩაიდენდენ სასწაულთ-მოქმედებას! შემდეგ ბ. არაბულიძე გადადის ბიბლიოთეკაზე და დავაბუდელებს იმ მოსაზრებისთვის, რომ „სანამ სკოლა და სამმართველო არ გადაუტანიათ, ბიბლიოთეკა მანც დავაანსოთ შუა ალაგას“ — თითის ქნევით მოაკანებს:—„დავაბუდელები ნუ დაივიწყებენ, რომ ამ დაწესებულებებზე (სკოლა და სამმართველო) მათზე უფრო დაშორებული ს. ექადა“-ო. მარა იმასაც ნუ დაივიწყებს ბ. არაბულიძე, რომ ს. ექადა აღარ ეკუთვნის დავაბ. საზოგადოებას, გარდა თორმეტი მოსახლე კაცისა და იმათ თუ მოთხოვნილება ექნებათ ოზურკეთის ბიბლიოთეკა უფრო ეახლეებათ ვინემ ს. დავაბუდის...

ბ. არაბულიძე თუ მთელი საზოგადოების ჭირვარამს დასტირის, სამაგიეროთ მისი თანამემამულე (ორივე ბოხვარლები არიან) სტუდ. მუჯირი მარტო ს. ბოხვარს, (რა ვიწრო ფარგალა!) საზოგადოების ერთ ზატარა კუნტულს და იქაურ ინტელიგენტებს უგალაბს ქებათა-ქებას. ბ. მუჯირი ერთ ალაგას ასე აქებს ბოხვარლებს: --ბიბლიოთეკის დაარსებაში უმთავრესი წილი უდევთ ბოხვარლებსო. სხვისი შრომაც უნდა გაისხეხათ! თუნდა ესეც არ იყოს—ამ შემთხვევაში განა ის უნდა მივიდოთ მხედველობაში, თუ ვის მიუღია მეტი შრომა-მოხაწილება დაარსებაში? დავაბუდელებს უკვირებთ მიწოდ-მოწოდას და თითონ თქვენ კი ადგუხართ იმავე გზას... „აქურებს (დავაბუდელებს) არა ერთხელ მოუნდომებიათ—განაკრძობს ავტორი—სკოლისა და სამმართველოს თავის სოფელში გადატანა (ცილისწამება! დავაბუდელების მიზანია—საზ. დაწესებულებები შუა ალაგას იყოს), იმ მოსაზრებით, რომ ვითომ ხსენებული დაწესებულებები საზ. საზღვარზე (განაზიანს) იყოს აკებული. რადგანაც ეს მოსაზრება სიმართლეს მოკლებულია“... და აი ეს ნაწვეტიც ეოკელგვარ სიმართლეს და მართლ-მსჯელობას მოკლებულია. ამის დასამტკიცებლათ საჭიროთ ვთვლი დავასახელო შემდეგი სანდო ზირები, რომელნიც ჩვენზე უკეთ იცნობენ დავაბუდის სიგრძე-სიგანეს და ავან-ჩავანს; ისინი

ნი უფრო სინამდვილით გამოიკვლევენ საზ. ინტელიგენციის და მათნი გაიკებთ ვინ მართალია. მე ვასახელებ დავაბუდის, ჭალის, ბოხვარის და მედექედურის მდებდებს და ადგილობრივ მასწ. ორ. დობნის და უმორჩილესათ ვთხოვ ამ ზატევერემულ ზირთ საზოგადოების თავსამტკრევი კითხვა გამოიკვლიონ და საზოგადოებას აუწონ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ, როგორც გავიკე საზოგადოებას კლასის გადაკეთება აქვს სახეში და ერთი-მეორეზე უფრო იათათ დაჯდება.

მე. რასაკვირველია, იმ აზრისა ვართ, რომ ბიბლიოთეკა სკოლასთან არსებობდეს, მარა ვიმედრებ, საჭიროა ეოკელგვარი საზოგადო დაწესებულება საზოგადოების შუა ალაგას დავაანსოთ და სოფლის უბრალო „შენ ჩემობა“ გაზეთის ფურცლებზე არ გამოვკვირით. მ. ლლოტი.

უბედოლის განხორება

„კვალის“ უკანასკნელ ნომერში პირველ გვერდზე დაბეჭდილია: „იმერეთის კრებას კი მთელი თავისი საუბო-საგნით გამოსქიმავენ“; უნდა იყოს: „იმერეთის კრებას კი მთელი თავისი სიგძე-სიგანით გამოსქიმავენ“.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წყურთელისა.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 7 დეკემბერს

გ ა ნ ე ზ ი ს ი

ე ფ . ს . მ ე ს ხ ი ს ა

ქალბ. მ. მ. საფაროვი-აზაშაძისა და ნ. ზ. რენელის მონაწილეობით

ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

პირველათ ახალი პიესა

I.

უ ბ ე დ ო ლ ა

(დანიზა)

დრამა 4 მოქმედებათ ალ. დიუმასი, თარგ. ფრანგ. კ. მესნის-მიერ.

II.


ა დ ვ ო კ ა ტ თ ა ნ

ხუმრობა-ვოდვილი 1 მოქ. ვ. გუნიას-მიერ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი **მ. გუნია.**



დაბდეკ 1901 წლისათვის
მიიღება ხელის მოწერა

„მოამბე“-ცნობის ფურცელ“

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მერვე)

ფასი ჟურნალისა კაცხანით:

კავკასიაში და რუსეთში: ერთი წლით 10 მან.,
ექვსი თვით 6 მან., სამი თვით 3 მან. საზღვარ
გარეთ: ერთი წლით 13 მან., 6 თვით 7 მან., სამი
თვით 5 მან.

წლიური ფასის განაწილება: პირველათ—5 მან.,
1-ლ აპრილამდე—3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე—
2 მანეთი.

ყოველ დღიური მაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეექვსე)

ფასი კაცხეთისა კაცხანით:

კავკასიაში და რუსეთში: ერთი წლით 6 მან.,
ექვსი თვით 4 მან., ერთი თვით 75 კაპ., საზღვარ
გარეთ: ერთი წლით 9 მან., ექვსი თვით 7 მან.,
ერთი თვით 90 კაპ.

წლიური ფასის განაწილება: პირველათ—3 მან.,
1-ლ აპრილამდე—3 მან., თითო ნომერი—3 კაპ.

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს,
„ცნობის ფურცელი“ უფასოთ გაეგზავნება, მხო-
ლოთ ქალაქ გარეთ გასაგზავნ ფოსტის ხარჯის-
თვის უნდა დაუმატოს 1 მან., რომელიც ხელის
მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილ.

კაცხეთი „ცნობის ფურცელი“ გამოვა 1900 წ.
პირველ დეკემბრიდან გაფართოებული სტრუქტურით და
კადიდებული ფორმატით.

ფასი განცხადების: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—
10 კ., მე-4—5 კაპ.; თუ განცხადება 3-ჯერზე მე-
ტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ელირებ.

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и
„Цнобисъ-Пурцели“.

(3—1)

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამ 1900 წლის პირ-
ველ დეკემბრიდან ქალაქის სადგინოფექციო
სადგურზე შემოდებულია ახალი ნიხრი, რო-
მელიც დამტკიცებულია შინაგან საქმეთა მი-
ნისტრისაგან, ფანანისის სამინისტროს თანხმო-
ბით. სადგინოფექციო სადგური კონსტრუქციის
დგინოფექციას, როგორათაც სახლებისას, ავ-
რეთვე ყოველ კვარ ნივთებისას. ამასთანავე,
სადაც გადაძღებ სენით ავთიმოფები არიან
სადგინოფექციო სადგური კონსტრუქციის იმათი
სახლების დგინოფექციის უსასყიდლოთ. (3—1)

„ივერია“

გამოვა 1901 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინათ

ფასი კაცხეთისა

12 თვით	10 მ.—კ.	6 თვით	6 მ.—კ.
11 „	9 „ 50 „	5 „	5 „ 50 „
10 „	8 „ 75 „	4 „	4 „ 75 „
9 „	8 „ — „	3 „	3 „ 50 „
8 „	7 „ 25 „	2 „	2 „ 75 „
7 „	6 „ 50 „	1 „	1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ელირება 17 მან. მთელის
წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით და-
ეთმობათ 8 მან.

თუ ტფილისში დაბარებული ვაზეთი თფილისის გარეშე
ადრესზე შესცვალა ვანემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში
ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეთ ერთის ადგილიდან
მეორეში გადავიდა, უნდა წარმოადგინოს ორი აბაზი.

ვინც კაცხეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს,
იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწი-
ლად შემოიტანოს ამგვარათ: ხელის-მოწერის დრას 3 მან:
პირველ მარტს—2 მან; პირველ მაისს—3 მან. და პირ-
ველ სექტემბერს—2 მან.

ფასი განცხადებისა:

მეოთხე გვერდზე კითხ-ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველ-
ზედ—16 კაპ.

კაცხეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

თფილისი. „ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც.
საზოგადოების“ კანცელარ., სასახლის ქუჩ., თავად-
ანაურობის სახლი.

თელავონის № 227

საფოსტო ადრესი: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІА“.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.